<sup>22</sup> რა არის ESF?, EC – ევროპის სოციალური ფონდი, ოქტომბერი, 2017,  
<https://ec.europa.eu/esf/main.jsp?catId=35&langId=en>.



მაძიებელში<sup>23</sup>.

ESF (EC):

<http://ec.europa.eu/esf/home.jsp?langId=en>

ESF (DG EMPL):

<https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=325>

DG EMPL. 2016. *ევროპის სოციალური ფონდი. ინვესტიცია ადამიანებში*:

<http://ec.europa.eu/esf/main.jsp?catId=3&langId=en&keywords=&langSel=&pubType=435>

DG GROW. 2017. *ევროკავშირის დაფინანსების სახელმძღვანელო ტურიზმის დარგისთვის (2014-2020)*, გვ. 18-19: <https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/e0707433-aa5f-11e6-aab7-01aa75ed71a1>

ევროკავშირის დაფინანსების სახელმძღვანელო ტურიზმის დარგისთვის [https://www.fi-compass.eu/sites/default/files/publications/Manual\\_Introducing\\_financial\\_instrumentsfor\\_the\\_European\\_Social\\_Fund.pdf](https://www.fi-compass.eu/sites/default/files/publications/Manual_Introducing_financial_instrumentsfor_the_European_Social_Fund.pdf)

ევროპარლამენტის და ევროპის სოციალური ფონდის საბჭოს დადგენილება (EU) No 1304/2013:

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32013R1304>

## ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდი სოფლის განვითარებისთვის

ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდი სოფლის განვითარებისთვის (EAFRD) წარმოადგენს 5 ESIF-დან ერთ-ერთს. EAFRD ხელს უწყობს სოფლების ეკონომიკურ განვითარებას ევროკავშირის თანადგომისა და სოფლის პოლიტიკების მხარდაჭერის გზით.

EAFRD (EC):

[https://ec.europa.eu/regional\\_policy/en/policy/what/glossary/e/european-agricultural-fund-for-rural-development](https://ec.europa.eu/regional_policy/en/policy/what/glossary/e/european-agricultural-fund-for-rural-development)

სოფლის განვითარების პოლიტიკა 2014-2020 (EC): [https://ec.europa.eu/agriculture/rural-development-2014-2020\\_en](https://ec.europa.eu/agriculture/rural-development-2014-2020_en)

სოფლის განვითარების ევროპული ქსელი (ENRD) ონლაინ პორტალი: <https://enrd.ec.europa.eu>

EIP-AGRI ონლაინ პორტალი: <https://ec.europa.eu/eip/agriculture/en>

სოფლის განვითარების ევროპული ქსელი. 2018 *ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდი სოფლის განვითარებისთვის. რესურს-ეფექტური სოფლის ეკონომიკები*:

<https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/75f02ff1-5334-11e8-be1d-01aa75ed71a1/language-en>

DG GROW. 2017. *ევროკავშირის დაფინანსების სახელმძღვანელო ტურიზმის დარგისთვის (2014-*

---

<sup>23</sup> რა არის ESF?, EC - ევროპის სოციალური ფონდი, ოქტომბერი 2017, <https://ec.europa.eu/esf/main.jsp?catId=35&langId=en>.

2020), გვ. 21-22: <https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/e0707433-aa5f-11e6-aab7-01aa75ed71a1>

Fi-კომპასი. 2015. *ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდი სოფლის განვითარებისთვის. ფინანსური მექანიზმები*: <https://www.fi-compass.eu/publication/brochures/factsheet-european-agricultural-fund-rural-development-eafrd>

ევროპარლამენტის და ევროპის სოფლის მეურნეობის სოფლის განვითარების ფონდის (EAFRD) მიერ შექმნილი სოფლის განვითარების საბჭოს დადგენილება (EU) No 1305/2013: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX%3A32013R1305>

## ევროპის საზღვაო საქმისა და მეთევზეობის ფონდი

ევროპის საზღვაო საქმისა და მეთევზეობის ფონდი (EMFF), 5 ESIF-დან ერთ-ერთის რანგში, „თავის პრიორიტეტებს შორის მოიაზრებს დასაქმების გაზრდას და ტერიტორიალური ერთიანობას ზღვისპირა და ზღვისგან დაშორებით მცხოვრები მოსახლეობაში, რომლებიც მეთევზეობითა და სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს“.<sup>24</sup>

EMFF (EASME):

<https://ec.europa.eu/easme/en/european-maritime-and-fisheries-fund-0>

EMFF (EC):

<https://ec.europa.eu/fisheries/cfp/emff>

თევზის სარეწი ზონების ქსელი (FARNET–FLAGS) ონლაინ პორტალი (EC):

[https://webgate.ec.europa.eu/fpfs/cms/farnet2/node\\_en](https://webgate.ec.europa.eu/fpfs/cms/farnet2/node_en)

DG GROW. 2017. *ევროკავშირის დაფინანსების სახელმძღვანელო ტურიზმის დარგისთვის (2014-2020)*, გვ. 24-25: <https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/e0707433-aa5f-11e6-aab7-01aa75ed71a1>

Fi-კომპასი. 2015. *EMFF-ის ფინანსური მექანიზმების გამოყენების წინასწარი კვლევა და დაკავშირებული სარეკომენდაციო მხარდამჭერი აქტივობები*:

<https://www.fi-compass.eu/publication/manuals/manual-scoping-study-use-financial-instruments-under-emff-and-related-advisory>

ევროპარლამენტის და ევროპის საზღვაო საქმისა და მეთევზეობის ფონდის საბჭოს დადგენილება (EU) No508/2014:

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32014R0508>

---

<sup>24</sup> DG GROW. 2017. *ევროკავშირის დაფინანსების სახელმძღვანელო ტურიზმის დარგისთვის (2014-2020)*, გვ. 24, <https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/e0707433-aa5f-11e6-aab7-01aa75ed71a1>.

## ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმი

ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმი (IPA) წარმოადგენს „საშუალებას, რომლითაც ევროკავშირი ფინანსურად და ტექნიკურად ეხმარება კანდიდატ ქვეყნებს რეფორმების განხორციელებაში“.<sup>25</sup> ეს ქვეყნებია ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი და თურქეთი. IPA აფინანსებს „ქვეყნების გაძლიერებას ევროკავშირში შესვლის პროცესში და ამზადებს მათ იმ უფლებებისა და მოვალეობებისთვის, რაც ევროკავშირის წევრობას მოჰყვება, რასაც შედეგად რეგიონში პროგრესულ და პოზიტიურ განვითარებას მოიტანს“.<sup>26</sup>

IPA (DG NEAR):

[https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/instruments/overview\\_en](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/instruments/overview_en)

ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმი სოფლის განვითარებისთვის (IPARD)(DG AGRI): [https://ec.europa.eu/info/food-farming-fisheries/farming/international-cooperation/enlargement/pre-accession-assistance\\_en](https://ec.europa.eu/info/food-farming-fisheries/farming/international-cooperation/enlargement/pre-accession-assistance_en)

EIB ონლაინ პორტალი კანდიდატი ქვეყნებისთვის:

<https://www.eib.org/en/projects/regions/enlargement/index.htm>

EC. 2014. *ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმი (IPA II) 2014-2020. IPA II პროგრამის მოკლე სახელმძღვანელო*:

[http://www.evropa.gov.rs/Documents/Home/DACU/12/78/248/ipa-quickguide\\_v0%202.pdf](http://www.evropa.gov.rs/Documents/Home/DACU/12/78/248/ipa-quickguide_v0%202.pdf)

EIB ჯგუფი. 2018. წვდომა დაფინანსებაზე ევროკავშირის მეზობელი და კანდიდატი ქვეყნებში:

[https://www.eib.org/attachments/country/access\\_to\\_finance\\_in\\_the\\_eu\\_neighbourhood\\_and\\_enlargement\\_countries\\_en.pdf](https://www.eib.org/attachments/country/access_to_finance_in_the_eu_neighbourhood_and_enlargement_countries_en.pdf)

ევროპარლამენტის და ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმის (IPA II) დამაარსებელი საბჭოს დადგენილება (EU) No 231/2014:

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014R0231>

ევროპარლამენტის აღმასრულებელი განკარგულება (EU) No 447/2014 ევროპარლამენტის და ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმის (IPA II) დამაარსებელი საბჭოს აღმასრულებელი განკარგულების (EU) No 231/2014 სპეციალური წესების შესახებ:

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014R0447>

## ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფონდი

ევროკავშირი თავის 16 უახლოესი აღმოსავლეთ და სამხრეთი მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას

<sup>25</sup> მიმოხილვა – ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმი, DG NEAR – ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმი, [https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/instruments/overview\\_en](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/instruments/overview_en).

<sup>26</sup> მიმოხილვა – ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმი, DG NEAR – ევროკავშირში შესვლამდე ეტაპის მხარდამჭერი მექანიზმი, [https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/instruments/overview\\_en](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/instruments/overview_en).

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საშუალებით (ENP) არეგულირებს. ეს ქვეყნებია სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა (აღმოსავლეთ მეზობლები); ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, პალესტინა, სირია და ტუნისი (სამხრეთ მეზობლები)<sup>27</sup>. ENP მიზნად ისახავს ”თავიდან იქნას აცილებული გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების წარმოქმნა და ამის სანაცვლოდ, გააძლიეროს ყველას კეთილდღეობა, სტაბილურობა და უსაფრთხოება”<sup>28</sup>.

ENP (DG NEAR):

[https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/overview\\_en](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/overview_en)

ENP (EEAS):

[https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-Homepage/330/european-neighbourhood-policy-enp\\_en](https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-Homepage/330/european-neighbourhood-policy-enp_en)

ENP (EC):

[https://ec.europa.eu/regional\\_policy/en/policy/what/glossary/e/european-neighbourhood-investment](https://ec.europa.eu/regional_policy/en/policy/what/glossary/e/european-neighbourhood-investment)

ევროპის მეზობლების ონლაინ პორტალი: <https://www.euneighbours.eu/en>

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) (EU საბჭო): <https://www.consilium.europa.eu/en/policies/eastern-partnership>

EaPსამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ონლაინ პორტალი: <https://eap-csf.eu>

EIB ონლაინ პორტალი აღმოსავლეთის მეზობლებისთვის:

<https://www.eib.org/en/projects/regions/enlargement/index.htm>

EIB ჯგუფი. 2018. ევროკავშირის სამეზობლოსა და კანდიდატი ქვეყნების მისაწვდომობა ფინანსებზე: [https://www.eib.org/attachments/country/access\\_to\\_finance\\_in\\_the\\_eu\\_neighbourhood\\_and\\_enlargement\\_countries\\_en.pdf](https://www.eib.org/attachments/country/access_to_finance_in_the_eu_neighbourhood_and_enlargement_countries_en.pdf)

EC-ის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი. 2014. ერთობლივი მიმართვა ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტისა და რეგიონალური კომიტეტისადმი. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიმოხილვა. JOIN(2005)50:

[https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/neighbourhood/pdf/key-documents/151118\\_joint-communication\\_review-of-the-enp\\_en.pdf](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/neighbourhood/pdf/key-documents/151118_joint-communication_review-of-the-enp_en.pdf)

ევროპარლამენტისა და ევროპული სამეზობლო მექანიზმის დამაარსებელი საბჭოს დადგენილება (EU) No: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014R0232>

## EEA და ნორვეგიის გრანტები

<sup>27</sup> რუსეთი მხოლოდ რეგიონალურ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის აქტივობებში იღებს მონაწილეობას ENP-ს ეგიდით.

<sup>28</sup> ევროპის სამეზობლო პოლიტიკა – რას წარმოადგენს ის?, DG NEAR – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, [https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/overview\\_en](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/overview_en).

EEA და ნორვეგიის გრანტების საშუალებით ისლანდიას, ლიხტენშტეინისა და ნორვეგიას წვლილი შეაქვთ ცენტრალურ და სამხრეთ ევროპისა და ბალტიის რეგიონის ევროკავშირის 15 ქვეყანაში ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობის შემცირებასა და ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცებაში. ეს ქვეყნებია ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია<sup>29</sup>. "ინოვაცია, კვლევა, განათლება და კონკურენტუნარიანობა" პრიორიტეტი ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას პოტენციურად მაღალი ზრდის დარგებში (მაგ. ტურიზმი), ასევე სოციალური ჩართულობისა და ახალგაზრდა მეწარმეობისთვის საჭირო საშუალებების განვითარებას. მდგრადი, რესურს-ეფექტური და ინკლუზიური ზრდის ღონისძიებები ასევე წარმოადგენს პრიორიტეტებს.

EEA და ნორვეგიის გრანტების ონლაინ პორტალი: <https://eeagrants.org>

EEANG. 2013. პრიორიტეტული დარგებისა და პროგრამების არეალის ლურჯი წიგნი: <https://eeagrants.org/layout/set/bluebook>

## შვეიცარიის თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასთან

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) შვეიცარიის ფედერალური საბჭოს აღმოსავლეთ ევროპასთან თანამშრომლობის განვითარების საგარეო პოლიტიკას ახორციელებს და აგრეთვე ეწევა ჰუმანიტარული დახმარებას. შვეიცარიის თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასთან ხელს უწყობს დემოკრატიისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკების მშენებლობას დასავლეთ ბალკანეთის 5 ქვეყანაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის 5 ქვეყანაში: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო, კოსოვო, ჩრდილოეთ მაკედონია, მოლდოვა, სერბეთი და უკრაინა არიან SDC-ის პარტნიორი ქვეყნები მისი თანამშრომლობის პროგრამაში. აღმოსავლეთ ევროპასთან თანამშრომლობა მოიცავს გარდამავალ თანამშრომლობას და შვეიცარიის წვლილს ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში. ევროკავშირის გაფართოებაში წვლილს 13 პარტნიორი ქვეყანა ყავს, ესენია ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია.

SDC ონლაინ პორტალი: <https://www.eda.admin.ch/deza/en/home.html>

SDC & SECO. 2013. *შვეიცარიის თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასთან. დემოკრატიაზე გარდამავალი ეტაპის ა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერა:*

[https://www.eda.admin.ch/dam/deza/en/documents/aktivitaeten-projekte/aktivitaeten/226107-faltblatt-oza-2013\\_EN.pdf](https://www.eda.admin.ch/dam/deza/en/documents/aktivitaeten-projekte/aktivitaeten/226107-faltblatt-oza-2013_EN.pdf)

SDC&SECO.2018. *შვეიცარიის წვლილი გაფართოებულ EU2017 ყოველწლიურ ანგარიშში და EU-10*

<sup>29</sup> ნორვეგიის გრანტები ნაწილდება ამ ქვეყნებზე, საბერძნეთისა და პორტუგალიის გამოკლებით.

ქვეყანაში დასრულებული სახელმწიფო პროგრამების შედეგები:

[https://www.eda.admin.ch/dam/erweiterungsbeitrag/en/documents/Publikationen/schweizer-erweiterungsbeitrag-jahresbericht-2017\\_EN.pdf](https://www.eda.admin.ch/dam/erweiterungsbeitrag/en/documents/Publikationen/schweizer-erweiterungsbeitrag-jahresbericht-2017_EN.pdf)

#### Nordisk Kulturfond

Nordisk Kulturfond-ს (სკანდინავიური კულტურული ფონდი) წვლილი შეაქვს „სკანდინავიის რეგიონში პოზიტიურ არტისტულ და კულტურულ განვითარებაში დანიას, ფინეთს, ისლანდიას, ნორვეგიას, შვედეთს, გრენლანდიას, ფარერისა და ალანდის კუნძულებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით“<sup>30</sup>. აღნიშნულის განხორციელება იგეგმება ინფორმაციის შეგროვების, ქსელების შექმნისა და ფინანსური დახმარების გზით.

Nordisk Kulturfond-ის ონლაინ პორტალი: <https://www.nordiskkulturfond.org/en>

#### სკანდინავიის კულტურული წერტილი

სკანდინავიის კულტურული წერტილი წარმოადგენს ოფიციალური“ სკანდინავიური თანამშრომლობის“ შემადგენელ კულტურულ ინსტიტუტს. მისი მისიაა „სკანდინავიური თანამშრომლობის გაძლიერება და მხარდაჭერა“.<sup>31</sup> სკანდინავიის მინისტრთა საბჭოს მიერ ფინანსირებული ფონდი ასევე მოიცავს საგრანტო პროგრამებს კულტურისა და ხელოვნების თანამშრომლობის, ქსელების ფინანსირებისა და კულტურის მობილურობის მიმართულელებით.

სკანდინავიის კულტურული წერტილის ონლაინ პლატფორმა: <https://www.nordiskkulturkontakt.org/en>

#### Nordplus

Nordplus სკანდინავიის მინისტრთა საბჭოს ყველაზე მნიშვნელოვანი მობილურობისა და ქსელური პროგრამაა უწყვეტი განათლების დარგში. Nordplus 2018–2022-ის ზოგადი მიზნებია გააძლიეროს და განავითაროს სკანდინავიური თანამშრომლობა განათლების სფეროში და ხელი შეუწყოს განათლებაში ხარისხიანი და ინოვაციური პროდუქტებისა და პროცესების დანერგვას.

Nordplus-ის ონლაინ პლატფორმა: <https://www.nordiskkulturkontakt.org/en>

Nordplus. 2018. *Nordplus-ის ცნობარი 2019*. <https://www.nordplisonline.org/Documents2/Documents>

რასკი, ჯ., ნეიედნამ ანდერსენი, ჰ. 2019. *Nordplus-ის განათლების ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა სკანდინავიასა და ბალტიის ქვეყნებში*.

<http://norden.diva-portal.org/smash/get/diva2:1316121/FULLTEXT01.pdf>

<sup>30</sup> ფონდის შესახებ, Nordisk Kulturfond, <https://www.nordiskkulturfond.org/en/about-us>.

<sup>31</sup> ჩვენ შესახებ, სკანდინავიის კულტურული წერტილი, <https://www.nordiskkulturkontakt.org/en/nordic-culture-point>.

## ვიშეგრადის ფონდი

ვიშეგრადის ფონდი „საერთაშორისო დონორი ორგანიზაციაა, რომელიც ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი და სლოვაკეთი) მიერ დაარსდა და იმართება და მისი მიზანია ვიშეგრადის რეგიონის (V4), ასევე V4 რეგიონსა და სხვა სახელმწიფოებს შორის რეგიონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ბალკანეთსა და აღმოსავლეთის პარტნიორ რეგიონებში“<sup>32</sup>. ვიშეგრადის ფონდი აღნიშნულს ახორციელებს ყოველწლიური გრანტებით, სტიპენდიებითა და სახელოვნებო რეზიდენტურებით. ფონდი აფინანსებს „მრავალფეროვან აქტივობებს, დაწყებული მცირე ქვეყანათაშორისი პროექტებით, რომლებიც სასაზღვრო რეგიონებში ურთიერთგაგებისთვის იღწვიან და დამთავრებული ხალხისთვის სარგებლის მომტანი პოტენციალის მქონე მრავალგანზომილებიანი პროექტებით“<sup>33</sup>, V4 -ის რეგიონისა მთელ ტერიტორიისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.

ვიშეგრადის ფონდის ონლაინ პორტალი: <https://www.visegradfund.org>

ვიშეგრადის ფონდი. ვიშეგრადის, ვიშეგრად +-ის და სტრატეგიული გრანტების სახელმძღვანელო: <https://s3.eu-central-1.amazonaws.com/uploads.mangoweb.org/shared-prod/visegradfund.org/uploads/2018/08/Grant-Guidelines-1.pdf>

ვიშეგრადის ფონდი. ხელშეკრულება საერთაშორისო ვიშეგრადის ფონდის დაარსების თაობაზე: [https://s3.eu-central-1.amazonaws.com/uploads.mangoweb.org/shared-prod/visegradfund.org/uploads/2018/12/IVF\\_statute.pdf](https://s3.eu-central-1.amazonaws.com/uploads.mangoweb.org/shared-prod/visegradfund.org/uploads/2018/12/IVF_statute.pdf)

## ცენტრალური ევროპის ინიციატივა

ცენტრალური ევროპის ინიციატივა (CEI) წარმოადგენს „რეგიონალურ მთავრობათაშორის ფორუმს, როლიც ემსახურება ევროპულ ინტეგრაციას და მდგრად განვითარებას მის წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირს, საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებს, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივ და კერძო ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გზით“<sup>34</sup>. CEI-ის წევრი სახელმწიფოებია - ცენტრალური ევროპის რეგიონი - ალბანეთი, ბელორუსია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, უნგრეთი, იტალია, მოლდოვა, ჩერნოგორია, ჩრდილოეთ მაკედონია, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უკრაინა. CEI

<sup>32</sup> ჩვენ შესახებ, ვიშეგრადის ფონდი, <https://www.visegradfund.org/about-us/the-fund>. აღმოსავლეთ ბალკანეთის რეგიონი შედგება ალბანეთის, ბოსნია და ჰერცეგოვინას, კოსოვოს, მონტენეგროს, ჩრდილოეთ მაკედონიასა და სერბეთისგან.

<sup>33</sup> გრანტები, ვიშეგრადის ფონდი, <https://www.visegradfund.org/apply/grants>.

<sup>34</sup> ჩვენ შესახებ, CEI – ცენტრალური ევროპის ინიციატივა, <https://www.cei.int/about-us>.

არის პლატფორმა პოლიტიკური დიალოგისთვის, რომელიც "აერთიანებს მრავალმხრივ დიპლომატიასა და ფონდებს, პროგრამისა და პროექტის მენეჯმენტს, როგორც დონორის, ისე მიმღების როლში"<sup>35</sup>. კერძოდ, CEI-ს გეგმავს, მართავს და ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტებს, რომლებიც მიმართულია ტრანსნაციონალურ და რეგიონალურ თანამშრომლობაზე ინსტიტუციური სტრატეგიული მიზნების ფარგლებში, როგორცაა მმართველობის გაჯანსაღება და კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა, ეკონომიკაში წვლილის შეტანა, გარემოს დაცვა და სამეცნიერო თანამშრომლობის მხარდაჭერა.

CEI ონლაინ პორტალი: <https://www.cei.int>

CEI. 2017. *CEI სამოქმედო გეგმა 2018-2020*. [https://www.cei.int/sites/default/files/file/PoA%202018-2020%20FINAL%20web%20\(006\).pdf](https://www.cei.int/sites/default/files/file/PoA%202018-2020%20FINAL%20web%20(006).pdf)

CEI. 2018. *CEI წესებისა და პროცედურების სახელმძღვანელო*.  
<https://www.cei.int/sites/default/files/2018-12/501.001-18%20CEI%20Guidelines%20and%20Rules%20of%20Procedure%20FINAL.pdf>

CEI. 2014. *CEI დაფინანსებასა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული საქმიანობები. რესურსების განაწილების წესები*: [https://www.cei.int/sites/default/files/2018-06/rules\\_allocation\\_cooperation\\_activities\\_2014\\_f.pdf](https://www.cei.int/sites/default/files/2018-06/rules_allocation_cooperation_activities_2014_f.pdf)

### ევროპის ახალგაზრდული ფონდი

ევროპის ახალგაზრდული ფონდი ევროპის საბჭოს მიერ დაფუძნებული ფონდია. რომელიც „ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ევროპის ახალგაზრდების საქმიანობებს, ევროპელ ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის წახალისების მიზნით“<sup>36</sup>. ევროპის ახალგაზრდული ფონდის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, აუცილებელია, რომ პროექტი აკმაყოფილებდეს ევროპის საბჭოს ფასეულობებისა და მუშაობის მოთხოვნებს და ახალგაზრდული სექტორის ორწლიან პრიორიტეტებს. ასე, მაგალითად, ფონდმა შეიძლება დააფინანსოს ევროპული ხასიათის მატარებელი განათლების, სოციალური და ჰუმანიტარული საქმიანობები, ან ისეთი საქმიანობები, რომლებიც ევროპაში მშვიდობისა და თანამშრომლობის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

ევროპის ახალგაზრდული ფონდის ონლაინ პორტალი (ევროპის საბჭო):  
<https://www.coe.int/en/web/european-youth-foundation>

ევროპის საბჭო. 2019. *ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის 2020-2021 პროგრამის საქმიანობების პრიორიტეტები*:  
<https://rm.coe.int/priorities-youth-sector-en-2020-2021/168092e8a9>

### ევროპის კულტურული ფონდი

<sup>35</sup> ჩვენ შესახებ, CEI – ცენტრალური ევროპის ინიციატივა, <https://www.cei.int/about-us>.

<sup>36</sup> ვინ ვართ ჩვენ, ევროპის საბჭო – ევროპის ახალგაზრდული ფონდი, <https://www.coe.int/en/web/european-youth-foundation>.



ევროპის კულტურული ფონდი ამსტერდამში მდებარე დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ხელოვნებისა და კულტურის სფეროში სამოქალაქო საზოგადოებრივი წამოწყებების დაჩქარება, დაკავშირება და კომუნიკაცია, ღია, დემოკრატიული და ინკლუზიური ევროპისთვის. ის მხარს უჭერს „კულტურის დარგში ცვლილებების დამნერგავებს“ გრანტების, გაცვლითი პროგრამებისა და ინკუბაციური პროგრამების შემოთავაზების გზით. ასევე მისი მიზანია „ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება, ადგილობრივი ხალხის - ევროპის ხალხებთან, საზოგადოების რიგითი წევრების - პოლიტიკასთან“<sup>37</sup>. ევროპის კულტურული ფონდი ყურადღებას ამახვილებს კულტურასა და შემოქმედებაზე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი აზრის შესახებ ცნობიერების ამაღლების საშუალებაზე. ევროპის კულტურული ფონდის გრანტის რესურსები ღიაა პრაქტიკულად ნებისმიერი კულტურული დარგისთვის (მაგ. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება მისი კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით) ყოველი პროგრამისთვის განსაზღვრული მიზნებისა და პრიორიტეტების ფარგლებში.

ECF-ის ვებ-გვერდი: <https://www.culturalfoundation.eu/home>

---

<sup>37</sup> ჩვენ შესახებ, ევროპის კულტურული ფონდი, <https://www.culturalfoundation.eu/about-us>.

დაფინანსების გარე წყაროები  
წარმატებული  
მგალითების კრებული

ევროპის კულტურული მარშრუტების მიერ განხორციელებული  
პროექტები

პროექტი:	SYMBOLS – სიკვდილის კულტურა და კულტურული ცხოვრება: ახალი აუდიტორია და ქმნილებები ევროპის სასაფლაოების ირგვლივ
დაფინანსების წყარო:	შემოქმედებითი ევროპა (კონკურსი EAC/S16/2013) კულტურა ევროპის თანამშრომლობის პროექტები მცირე მასშტაბის თანამშრომლობის პროექტები
კულტურული მარშრუტი:	» ევროპის სასაფლაოების მარშრუტი
პროექტის პარტნიორები:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Fundación Municipal de Cultura del Ayuntamiento de Avilés (ავილესის მუნიციპალური კულტურული ფონდი, ესპანეთი), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• Communauté de Communes du Nebbiu (ნებიოს მუნიციპალიტეტების კავშირი, საფრანგეთი)</li> <li>• Comune di Genova (გენუას მუნიციპალიტეტი, იტალია)</li> <li>• დანდის და ანგუსის კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი)</li> <li>• Limerick Institute Of Technology ლიმერიკის ტექნოლოგიების ინსტიტუტი (ირლანდია)</li> <li>• Pogrebno Podjetje Maribor D.D. (მარიბორის დაკრძალვის სამსახური, სლოვენია)</li> <li>• ევროპის მნიშვნელოვან საფლავთა ასოციაცია - ASCE (იტალია), ასოცირებული პარტნიორი</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 198.086,00 – EU დაფინანსების დონე: 55%
განხორციელების პერიოდი:	ოქტომბერი 2014 – დეკემბერი 2016
აღწერა:	SYMBOLS წარმოადგენდა ევროპაში 6 პარტნიორის მიერ შემუშავებულ ერთობლივ პროექტს, რომლის ზოგადი მიზანი იყო სასაფლაოებისა და დაკრძალვის ხელოვნების - როგორც ევროპული კულტურული მემკვიდრეობისა და მეხსიერების მნიშვნელოვანი ნაწილის შესახებ ცოდნისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ასევე, კულტურული და შემოქმედებითი ნამუშევრების ქვეყნებს შორის მიმოცვლა და კულტურისა და შემოქმედების დარგში მოღვაწეთა - განსაკუთრებით ხელოვანთა, ტრანსნაციონალური მობილურობის უზრუნველყოფა. პროექტში მნიშვნელოვანი როლი მიუძღოდა ძლიერ ICT-სა და მედია კომუნიკაციას. SYMBOLS-ის განმავლობაში, ხელოვნების 2 რეზიდენტურა ფუნქციონირებდა, კერძოდ, ავილესსა და დანდიში: შედეგად შთამბეჭდავი გამოფენა მოეწყო, რომელიც ოფიციალურად 2016 წელს გაიხსნა გენუაში. ღონისძიებაში ჩართული იყო 15 გრაფიკის მხატვარი 7 ქვეყნიდან, 5 მოცეკვავე და 10 მუსიკოსი 6 ქვეყნიდან. პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნა რამდენიმე მარშრუტი სასაფლაოებში, მნიშვნელოვანი სიმბოლოებისა და ისტორიის წარმოჩენით, მანამდე შექმნილი მობილური გიდის უზრუნველყოფით (რომელიც მხედველობის არმქონე პირებისთვისაც კი იყო ადაპტირებული, 3 საპილოტე ტესტით). მონაწილეების რაოდენობამ, სულ მცირე, 120 ადამიანი შეადგინა 6 ქვეყნიდან. ამას გარდა, 1.000 პარტნიორზე მეტს დაურიგდა წარმატებული მაგალითის 3 სახელმძღვანელო.
წყარო:	<a href="https://symbolsproject.eu/explore.aspx">https://symbolsproject.eu/explore.aspx</a> <a href="https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/2014_publication_list_of_results-coop1_updated_09-2015.pdf">https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/2014_publication_list_of_results-coop1_updated_09-2015.pdf</a>

პროექტი:	პარალელური კვალი: ებრაული მემკვიდრეობა ახალ ობიექტებში
დაფინანსების წყარო:	შემოქმედებითი ევროპა (კონკურსი EACEA32/2017) კულტურა ევროპის თანამშრომლობის პროექტები მცირე მასშტაბის თანამშრომლობის პროექტები
კულტურული მარშრუტი:	» ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი
პროექტის პარტნიორები:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Association Européenne pour la Préservation et la Valorisation de la Culture et du Patrimoine Juifs-AEPJ (ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობის ევროპული ასოციაცია), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• კულტურისა და მედიის სააგენტო Europe-CUMEDIAE (ბელგია)</li> <li>• Fundacja Bente Kahan (პოლონეთი)</li> <li>• Fundatia Tarbut Sighet (რუმინეთი)</li> <li>• Imascono Art (ესპანეთი)</li> <li>• Israeli House (საქართველო)</li> <li>• Patronat Call de Girona (ესპანეთი)</li> <li>• Tačka Komunikacije (სერბეთი)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 197.440–EU დაფინანსების დონე: 60%
განხორციელების პერიოდი:	სექტემბერი 2018 – სექტემბერი 2020
აღწერა:	„პარალელური კვალი“ დისციპლინათაშორისი, კოლაბორაციული, პან-ევროპული პროექტია, რომელიც ებრაული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე ახლებურ ხედვას გვთავაზობს. პროექტი მოიაზრებს კონტენტსა და მემკვიდრეობასთან ინტერაქციის ინოვაციური, ღია და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას. მისი საშუალებით, შესაძლებელი გახდება ურბანულ არქიტექტურასა და დაგეგმარებაში ებრაული კულტურული მემკვიდრეობის კვალის გაცოცხლება, რაც ძირითადად ვიზუალური საშუალებებით მიიღწევა, ევროპელი მოქალაქეების მიერ მათი აღმოჩენის პერსპექტივის ჩანაფიქრით. პროექტი სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით, როგორცაა ორიგინალური ციფრული ნამუშევრების კონკურსი, აქტივობები, რომელიც დაფუძნებულია უშუალო და ონლაინ კომუნიკაციაზე, ახალი აპლიკაციის შექმნა - აღმოაჩენს, გადაიაზრებს და გაზრდის ევროპული ებრაული მემკვიდრეობის - როგორც ევროპის ისტორიის განუყოფელი ნაწილის შესახებ ცნობიერებას.
წყარო:	<a href="https://culture-media.eu/parallel-traces">https://culture-media.eu/parallel-traces</a> <a href="https://www.jewishheritage.org/web/news/300">https://www.jewishheritage.org/web/news/300</a> <a href="https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/2_-_selected_projects_with_partners.pdf">https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/2 - _selected_projects_with_partners.pdf</a>

<b>პროექტი:</b>	გაყვევი ვიკინგებს
<b>დაფინანსების წყარო:</b>	შემოქმედებითი ევროპა (კონკურსი EACEA32/2014) კულტურა ევროპის თანამშრომლობის პროექტები მცირე მასშტაბის თანამშრომლობის პროექტები
<b>კულტურული მარშრუტი:</b>	» კულტურული მარშრუტი ვიკინგი
<b>პროექტის პარტნიორები:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეტლანდის კეთილმოწყობის ტრასტი (დიდი ბრიტანეთი) წამყვანი პარტნიორი</li> <li>• Ab Bengtskär Oy (ფინეთი)</li> <li>• Avaldsnesprojekt (ნორვეგია)</li> <li>• Concello de Catoira (კატორის მუნიციპალიტეტი, ესპანეთი)</li> <li>• Dublinia Ltd. (ირლანდია)</li> <li>• ისლანდიის საგას კვალის ასოციაცია (ისლანდია)</li> <li>• Lofotr Viking Museum (ნორვეგია)</li> <li>• Museum Vestsjaelland (დანია)</li> <li>• Nationalmuseet (დანის ეროვნული მუზეუმი, დანია)</li> <li>• Sør-Troms Museum (ნორვეგია)</li> <li>• Upplands Väsby Kommun მაღალმთიანი ვასბის მუნიციპალიტეტი, შვედეთი)</li> <li>• Vikingveien i Vestfold (ნორვეგია)</li> <li>• Waterford Treasure at the Granary Ltd. (ირლანდია)</li> <li>• იორკის გათხრებისა და კვლევის არქეოლოგიური ტრასტი (დიდი ბრიტანეთი)</li> </ul>
<b>ევროკავშირის კონტრიბუცია:</b>	EUR 1.960.000 – EU დაფინანსების დონე: 50%
<b>განხორციელების პერიოდი:</b>	ივლისი 2015 – დეკემბერი 2018
<b>აღწერა:</b>	„გაყვევი ვიკინგებს“ იყო შემოქმედებითი ევროპის მიერ დაფინანსებული 4-წლიანი ტრანსნაციონალური პროექტი, რომლის მიზანი იყო, ვიკინგების მემკვიდრეობა მსოფლიო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომი და გასაგები გაეხადა. პროექტის ირგვლივ შეიკრიბა ვიკინგების სამყაროს პარტნიორთა ქსელი და ვიკინგების მარშრუტის წევრები, ევროპის მასშტაბით ამ მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული ტერიტორიებით დაინტერესებული აუდიტორიისა და ღირსშესანიშნავი ადგილების გაზრდისა და განვითარების მიზნით. იგი გეგმავდა „ასოციაცია მიმართულება ვიკინგის“ საქმიანობის გაგრძელებას, ვიკინგების მარშრუტების დაცვასა და გაუმჯობესებას, მისი ქსელის შექმნას და მემკვიდრეობის ადგილების შესახებ ცოდნის გადაცემაში დახმარების გაწევას, ასევე ამ ადგილების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას. პროექტი მოიაზრებდა ვიკინგების ისტორიასა და ზოგადად ვიკინგების მიერ დატოვებულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული როგორც ძირითადი, ისე ნაკლებად ცნობილი მარშრუტების, მუზეუმებისა და ატრაქციონების აუდიტორიის გაფართოებას. პროექტმა შექმნა მთელს ევროპასა და მის საზღვრებს გარეთ მოღვაწე ვიკინგების მემკვიდრეობის დაცვის,

	<p>წარმოჩენისა და მარკეტინგში ჩართულ კულტურულ აქტორთა დიდი და ხანგრძლივმოქმედი ქსელი. მან ხელი შეუწყო ამ აქტორთა შორის ცოდნისა და გამოცდილების ინტენსიურ გაცვლას, და ასევე ხელი შეუწყო ვიკინგების მემკვიდრეობის შესახებ ერთობლივი ტრანსნაციონალური პრეზენტაციებისა და პროდუქტების შექმნას. გამოყენებულ იქნა მრავალი სახის საშუალება, მათ შორის ახალი ტექნოლოგიები, ექსპერტული რჩევები ბიზნესის განვითარებისადმი მიძღვნილი სემინარების სახით; გარდა ამისა, ასევე, ინტერესის გაზრდის მიზნით, მოეწყო საერთაშორისო ტურისტული ღონისძიება, რომელიც გულისხმობდა აქტორებისა და არტისტებისგან დაკომპლექტებული ტურისტული ჯგუფისთვის ვიკინგის ბაზრობებზე ტურის მოწყობას; განხორციელდა სხვა მსგავსი ღონისძიებები მთელ ევროპაში.</p>
<p>წყარო:</p>	<p><a href="https://www.followthevikings.com">https://www.followthevikings.com</a>  <a href="https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/2015_publication_list_of_results-coop2-update_09-2015.pdf">https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/2015_publication_list_of_results-coop2-update_09-2015.pdf</a></p>

პროექტი:	ევროპის ინდუსტრიული მემკვიდრეობა 2020 და შემდეგ - მორგებული მომავალზე
დაფინანსების წყარო:	შემოქმედებითი ევროპა (კონკურსი EACEA/39/2016) კულტურა ევროპული ქსელები
კულტურული მარშრუტი:	» ინდუსტრიული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი (გერმანია)
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინდუსტრიული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 223.824,00 –EU დაფინანსების დონე: 80%
განხორციელების პერიოდი:	ოქტომბერი 2018 – სექტემბერი 2019
აღწერა:	<p>„ინდუსტრიული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი“ (ERIH) პროექტის სახით 1999 წელს დაიწყო, ჩვენი საერთო ევროპული ინდუსტრიული მემკვიდრეობის მიმართ ზრდადი ცნობიერების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის იდეის გარშემო მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი პარტნიორი შეიკრიბა და გაერთიანდა, INTERREG II C North-Western Europe-დან დაფინანსების წარმატებით მოპოვებისთვის. მათ შეიმუშავეს ძირითადი გეგმა, რომელიც აღწერდა ინდუსტრიული მემკვიდრეობის, როგორც ტურისტული ბრენდის ეკონომიკურ პოტენციალს და წარმოადგინა პოტენციური პან-ევროპული ქსელი, თავისი ხარისხის სტანდარტებითა და რეგიონალური თემატური მარშრუტებით. 2008 წელს ERIH-ის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შემდეგ, იგი მუდმივად იზრდებოდა და ამ პროცესს მხარს უჭერდა 205-2016 წლებში CE-ს ფარგლებში მოქმედი გრანტი. CE-ის ბოლო „ევროპული ქსელების“ გრანტი მიზნად ისახავს უნარების, ნოუ-ჰაუსა და კომპეტენციების შენარჩუნებასა და გადაცემას; სამუშაო ადგილების შესაძლებლობების მხარდაჭერას, საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას და მემკვიდრეობითობის დაგეგმვის კონცეფციების შემუშავებას. ERIH-ის „Twinning of Sites“ პროექტი ხელს უწყობს საერთაშორისო გაცვლებსა და თემატურად მსგავს ადგილებს შორის თანამშრომლობას. პროექტის განსაკუთრებული ფოკუსის ქვეშ მოექცა „ევროპული კულტურული მემკვიდრეობის წელი 2018“, რომლისთვისაც ERIH-მ კოორდინატორის როლი იტვირთა ინდუსტრიული მემკვიდრეობის სფეროსთან დაკავშირებულ აქტივობებში, მათ შორის შეიმუშავა ახალი ღონისძიების ფორმატი, ევროპული ცეკვის ღონისძიება „WORK-it-OUT“. მას გარდა, სხვა ევროპულ კულტურულ ქსელებთან ერთობლივად, „ევროპის მემკვიდრეობის ალიანსში 3.3“ და „კულტურის ხმის კომიტეტში“, ERIH მუშაობს 2018 წლის ერთიან სტრატეგიაზე და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის განვითარების გრძელვადიან კონცეფციაზე. ქსელის პოპულარიზაციის მიზნით, ERIH წევრთა საიტებზე კროს-მარკეტინგს პროექტ „Links“-ის საშუალებით ზრდის.</p>
წყარო:	<a href="https://www.erih.net/about-erih/erih-history-and-goals">https://www.erih.net/about-erih/erih-history-and-goals</a> <a href="https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/net_decision.pdf">https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/net_decision.pdf</a>

პროექტი:	EYES: მათი თვალებით დანახული ისტორია
დაფინანსების წყარო:	ევროპა მოქალაქეებისთვის (კონკურსი EACEA/36/2014) ევროპული ხსოვნა მიზნობრივი გრანტები
კულტურული მარშრუტი:	» გათავისუფლების მარშრუტი ევროპა
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფონდი გათავისუფლების მარშრუტი ევროპა (ნიდერლანდები), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• Alliiertenmuseum (მოკავშირეთა მუზეუმი, გერმანია)</li> <li>• ბასტონის ომის მუზეუმი (ბელგია)</li> <li>• Comune di Cassino (კასინოს მუნიციპალიტეტი, იტალია)</li> <li>• Gemeente Nijmegen (ნიჟმეგენის მუნიციპალიტეტი, ნიდერლანდები)</li> <li>• Région Normandie (ნორმანდიის რეგიონი, საფრანგეთი)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 97.500,00–EU დაფინანსების დონე: 100%
განხორციელების პერიოდი:	ივნისი 2018 – თებერვალი 2019
აღწერა:	მათი თვალებით დანახული ისტორია იგივე EYES, 6 ევროპელი პარტნიორის ჩართულობით მოქმედი პროექტი იყო, რომელიც ახალგაზრდა თაობისთვის მეორე მსოფლიო ომის შესახებ მეხსიერების უფრო თვალსაჩინო წარმოჩენისთვის მუშაობდა. EYES-მა ეს ამოცანა განახორციელა კონფერენციების სერიების ჩატარებითა და მოძრავი გამოფენის დახმარებით (კანი, ბასტონი, ნიჟმეგენი, ბერლინი და კასინო), ომის შესახებ სხვადასხვა პირთა მიერ, სხვადასხვა პერსპექტივით დანახული ისტორიების მოყოლით. მეორე მსოფლიო ომისა და მისი შედეგების უკეთ გაცნობის მიზნით, შემუშავდა სახელმწიფოთაშორისო პროგრამა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდა თაობის ჩართულობას თავისუფლების, მშვიდობისა და დემოკრატიის მნიშვნელობის წარმოჩენის გზით.
წყარო:	<a href="https://b2b.liberationroute.com/projects/history-through-their-eyes">https://b2b.liberationroute.com/projects/history-through-their-eyes</a> <a href="https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/selected_applicants_remem_2017.pdf">https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/selected_applicants_remem_2017.pdf</a>



პროექტი:	Well-O-Live – ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოცდილება ზეთისხილის ხის ევროპულ მარშრუტზე
დაფინანსების წყარო:	COSME (კონკურსი COS-TOUR-2015-3-04-1) “ტურიზმის დარგში კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი ზრდის ხელშეწყობა“
კულტურული მარშრუტი:	» ზეთისხილის ხის მარშრუტი
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Comuni di Brindisi (ბრინდისის მუნიციპალიტეტი, იტალია) ლიდერი პარტნიორი</li> <li>• Chambre de Commerce Italienne de Lyon (იტალიის სავაჭრო პალატა ლიონში, საფრანგეთი)</li> <li>• კულტურული ფონდი „ზეთისხილის ხის მარშრუტები“ (დიდი ბრიტანეთი)</li> <li>• Departament d'Empresa i Coneixement (კატალონიის ბიზნესისა და ცოდნის სამინისტრო, ესპანეთი)</li> <li>• მიმართულების შემქმნელები s.r.l.s (იტალია)</li> <li>• Itä-Suomen Yliopisto (აღმოსავლეთ ფინეთის უნივერსიტეტი, ფინეთი)</li> <li>• შპს „სააგენტო ნიუ თრეველს“ (ბულგარეთი)</li> <li>• Regionalna Razvojna Agencija Dunea d.o.o. (ხორვატია)</li> <li>• შპს „ტრიპ ინ ტაჩ“. (დიდი ბრიტანეთი)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 240.565 – EU დაფინანსების დონე: 82%
განხორციელების პერიოდი:	მაისი 2016 – ივლისი 2017
აღწერა:	Well-O-live პროექტი თემატური საერთაშორისო ტურიზმის პროდუქტების განვითარებას შეუწყობ ხელი. პროექტმა მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი პარტნიორი დააკავშირა ერთმანეთს ევროპის ზეთისხილის ხის მარშრუტზე ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ორიენტირებული თემატური აგროტურიზმის პროდუქტების შექმნის, მართვისა და პოპულარიზაციისთვის ინოვაციური სტრუქტურის შექმნის მიზნით. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ბიზნეს გეგმა, რომელიც მოიცავდა თანადაფინანსების პერიოდის გასვლის შემდეგ ბაზარზე მოთხოვნისა და თვითმოგებობის ანალიზს და ასევე ექსპერიმენტული მარკეტინგის სტრატეგიის დანერგვას, ბლოგინგის განვითარებისა და სოფლის მარშრუტის მატერიალური და არამატერიალური სიკეთეების პოპულარიზაციის გზით. იგი მოიცავდა ექსპერიმენტული ლაბორატორიების ორგანიზებას, რომლებშიც აგროტურიზმის თემატური პროდუქტების მდგრად განვითარებას, მარკეტინგს, კომუნიკაციას და სტრატეგიებს შეისწავლიდნენ. ასევე დაიგეგმა საზოგადოებრივი და კერძო სექტორების, ადგილობრივი მოსახლეობის, ცოდნის მწარმოებლებისა და სხვა დაინტერესებული პარტნიორების ურთიერთ გაძლიერებასა და პარტნიორობაზე დაფუძნებული სიცოცხლისუნარიანი პროექტისა და პროდუქტების შესახებ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შექმნა.
წყარო:	<a href="http://www.wellolive.eu">http://www.wellolive.eu</a> <a href="https://olivetreeroute.gr/tag/well-o-live-en">https://olivetreeroute.gr/tag/well-o-live-en</a> <a href="https://cosme.easme-web.eu">https://cosme.easme-web.eu</a>

პროექტი:	CREATIVE LOCI IACOBI – საერთაშორისო, კრეატიული და კულტურული საშუალებების შექმნა წმინდა იაკობის გზებზე მოგზაური ტურისტებისთვის
დაფინანსების წყარო:	COSME (კონკურსი COS-TOURCGI-2017-3-03) „კულტურულ და შემოქმედებით დარგებთან დაკავშირებული საერთაშორისო თემატური ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა“
კულტურული მარშრუტი:	» Santiago de Compostela მომლოცველთა მარშრუტი
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Axencia Turismo de Galicia (გალიციას ტურისტული სააგენტო, ესპანეთი), ლიდერი პარტნიორი</li> <li>• Câmara Municipal de Vila Pouca de Aguiar (პუკა დე აგიარის მუნიციპალიტეტი, პორტუგალია)</li> <li>• Fédération du Tourisme de la Province de Namur (ნამურის პროვინციის ტურიზმის ფედერაცია, ბელგია)</li> <li>• <i>Fédération Européenne des Chemins de Saint-Jacques-de-Compostelle</i> (წმინდა იაკობის გზის ევროპული ფედერაცია, საფრანგეთი)</li> <li>• Malvado Sound Lab Sl. (ესპანეთი)</li> <li>• Švento Jokūbo Kelio Savivaldybių Asociacija (წმინდა იაკობის გზების მუნიციპალიტეტების ასოციაცია, ლიეტუვა)</li> <li>• Województwo Kujawsko-Pomorskie (პოლონეთი)</li> <li>• Xoia Software Development Sl. (ესპანეთი)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 299.154 – EU დაფინანსების დონე: 73%
განხორციელების პერიოდი:	აპრილი 2018 – სექტემბერი 2019
აღწერა:	<p>მიუხედავად იმისა, რომ წმინდა იაკობის გზები მთელს ევროპაში კარგად არის ცნობილი, ვიზიტორის მიერ მიღებული შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, საჭიროა ტრადიციული საშუალებების გათანამედროვეება და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. CREATIVE LOCI IACOBI მიზნად ისახავს ევროპაში სანტიაგოს გზების პოპულარიზაციასა და ხილვადობის გაზრდას, ციფრული მასალების (მაგ. გეოლოკაციური რუკები, ღირსშესანიშნაობების გაციფრულება) და დამატებითი რეალობის ტექნოლოგიების, ვირტუალური და ხმოვანი ტურების, 360° ვიდეოსა და ისტორიის თხრობის გამოყენებით, რომელიც ამ გზის მომლოცველებისთვის, ასევე UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის მარშრუტების პოტენციური ტურისტებისა და სხვა ტურისტული სააგენტოებისთვის შეთავაზებულ ინფორმაციას უფრო კომპაქტურსა და პრაქტიკულს გახდის. ამგვარად, პროექტი მიზნად ისახავს წმინდა იაკობის მარშრუტების პოპულარიზაციასა და ხილვადობის გაზრდას საერთოკლიენტურ ინტერფეისთან (CCI) დაკავშირებული ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც პოტენციური ტურისტებისა და ტურიზმით დაინტერესებული სხვა მონაწილეებისთვის გასაგები და პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს. ერთი მხრივ, პროექტი მოგზაურებსა და ტურიზმის დარგის სხვა მონაწილეებს განახლებულ კულტურულ და ტურისტულ ინფორმაციას მიაწვდის. მეორე მხრივ ახალი ტექნოლოგიური საშუალებები, რაც მათ ვიზიტს გააუმჯობესებს, მოიზიდავს ახალ ვიზიტორებს,</p>

	ხელს შეუწყობს ახალ მომსახურებების შექმნას და გაზრდის წმინდა იაკობის გზის, როგორც საერთაშორისო ტურისტული პროდუქტის კონკურენტუნარიანობას.
წყარო:	<a href="http://www.saintjamesway.eu/actualite/creative-loci-iacobi">http://www.saintjamesway.eu/actualite/creative-loci-iacobi</a> <a href="https://www.malvadogroup.es/en/tag/creative-loci-iacobi">https://www.malvadogroup.es/en/tag/creative-loci-iacobi</a> <a href="https://cosme.easme-web.eu/?p=785709">https://cosme.easme-web.eu/?p=785709</a> <a href="https://cosme.easme-web.eu">https://cosme.easme-web.eu</a>

პროექტი:	SDITOROMAN - რომის იმპერატორებისა და დუნაის ღვინის მარშრუტის ინოვაციური ტურისტული შეთავაზების მხარდაჭერა
დაფინანსების წყარო:	COSME (კონკურსი COS-TOURCCI-2017-3-03) „კულტურულ და შემოქმედებით დარგებთან დაკავშირებული საერთაშორისო თემატური ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა“
კულტურული მარშრუტი:	» რომის იმპერატორებისა და დუნაის ღვინის მარშრუტი
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Dunavski Centar za Kompetenciju Udruzenje (დუნაის კომპეტენციის ცენტრი - DCC, სერბეთი) ლიდერი პარტნიორი</li> <li>• Cevaal Renate (ნიდერლანდები)</li> <li>• Mascontour GmbH (გერმანია)</li> <li>• Ministerul Turismului (ტურიზმის სამინისტრო, რუმინეთი)</li> <li>• Narodni Muzej Zajecar (ზაეჯარის ეროვნული მუზეუმი, სერბეთი)</li> <li>• Regionalen Istoričeski Muzej Ruse (რუხის რეგიონალური ისტორიული მუზეუმი, ბელგია)</li> <li>• Zsolnay Örökségkezelő Nonprofit Kft. (ჟოლნეის კულტურული კვარტალი, უნგრეთი)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 256.319 – EU დაფინანსების დონე: 75%
განხორციელების პერიოდი:	ივნისი 2019 – ნოემბერი 2019
აღწერა:	<p>SDITOROMAN-ის ზოგადი მიზანია, რომაული იმპერატორებისა და დუნაის ღვინის საერთაშორისო მარშრუტის ბაზარზე შეღწევის გაძლიერება და მდგრადი კომერციალიზაცია, კონკურენტუნარიანი ქვე-მიმართულებების განვითარების, ინოვაციური ტურისტული პროდუქტების შექმნის, სპეციალური მარკეტინგული აქტივობების დანერგვისა და პროფესიული ქსელური სტრუქტურების ჩამოყალიბების გზით. პროექტის კონსორციუმი იმგვარად იქნა დაგეგმილი, რომ მისი კომბინაცია უზრუნველყოფს ურთიერთ სწავლებასა და გამოცდილებათა გაცვლას. პროექტი უზრუნველყოფს მარშრუტზე არსებული სერვისების შეფასებასა და სტანდარტაზიციას, ასევე იმ სერვისებისა და შემოთავაზებების გამოვლენას, რომლებსაც მარშრუტის პროგრამის ფარგლებში არ აქვთ განვითარებული ქვე-მიმართულებები და ამ მიზეზით ვერ ფუნქციონირებენ, როგორც მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსირებული სისტემა. ასევე, ყურადღება დაეთმობა კულტურული და შემოქმედებითი დარგების როლს საერთაშორისო ტურისტული პროდუქტების განვითარებასა და პოპულარიზაციაში. პროექტი მიზნად ისახავს, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მარშრუტზე, როგორც ტურისტულ მიმართულებაზე, ბაზარზე პოზიციონირების მხრივ, და ასევე გაზარდოს ტურისტული შემოთავაზების ეფექტურობა. დაგეგმილია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელთა წყალობით შეიქმნება ტურიზმის ბაზარზე პროდუქტის სტრატეგიული იმიჯის ბაზისი, ტურისტებსა და შუამავლებს (ტუროპერატორებს) გაეზრდებათ ცნობიერება და მოტივაცია, რომ ეწვიონ მარშრუტს ან ჩართონ საკუთარი შეთავაზებების პაკეტებში მარშრუტის ქვე-მიმართულებები. პროექტის გეგმაში</p>

	<p>შედის, გააძლიეროს ამჟამად სუსტად განვითარებული ქვე-მიმართულებები, იმგვარად, რომ შეძლონ თავიანთ რეგიონში შემოთავაზების პაკეტის დამოუკიდებლად მართვა და განვითარება, უზრუნველყონ ხარისხიანი ტურისტული მომსახურებები და ითანამშრომლონ ეფექტურად, ამასთანავე იზრუნონ ვიზიტორთა მაღალხარისხიან მომსახურებასა და მათ კმაყოფილებაზე, და ამ გზით გააძლიერონ მარშრუტის კონკურენტუნარიანობა ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე.</p>
წყარო:	<p><a href="http://danubecc.org/dcc-projects/supporting-the-promotion-and-development-of-transnational-thematic-tourism-products-linked-to-cultural-and-creative-industries-sditoroman">http://danubecc.org/dcc-projects/supporting-the-promotion-and-development-of-transnational-thematic-tourism-products-linked-to-cultural-and-creative-industries-sditoroman</a>  <a href="https://cosme.easme-web.eu/project/699472">https://cosme.easme-web.eu/project/699472</a>  <a href="https://cosme.easme-web.eu">https://cosme.easme-web.eu</a></p>

პროექტი:	გაერთიანებული ევროპული სადოქტორო პროგრამა urbanHIST
დაფინანსების წყარო:	ჰორიზონტი 2020 (კონკურსი H2020-MSCA-ITN-2016) მოწინავე მეცნიერება მარი სკლადოვსკა კიურის აქტივობები ინოვაციური სწავლების ქსელები გაერთიანებული ევროპული დოქტორანტურა
კულტურული მარშრუტი:	» ATRIUM
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Bauhaus-Universität Weimar (ზაიმარის ბაუჰაუსის უნივერსიტეტი, გერმანია)</li> <li>• Blekinge Tekniska Högskola (ბლეკინჯის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, შვედეთი)</li> <li>• Universidad de Valladolid (ვალადოიდის უნივერსიტეტი, ესპანეთი)</li> <li>• Univerzita Pavla Jozefa Šafárika v Košiciach (პაველ იოზეფ შაფარისკის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი)</li> <li>• ასოციაცია ATRIUM (იტალია), ასოცირებული პარტნიორი</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 3.703.652 – EU დაფინანსების დონე: 100%
განხორციელების პერიოდი:	ოქტომბერი 2016 – სექტემბერი 2020
აღწერა:	UrbanHIST წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ კვლევით და სასწავლო პროგრამას, რომელსაც გერმანიაში, ესპანეთში, სლოვაკეთსა და შვედეთში არსებული 4 უნივერსიტეტი უძღვება, 13 პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთობლივად, რომელთა შორისაა ასოციაცია ATRIUM. პროექტს გაერთიანებული ევროპული დოქტორანტურის სახით ფინანსირდება ევროკავშირის ჰორიზონტი 2020 პროგრამის ფარგლებში. მისი მიზანია, ჩამოაყალიბოს და ხელი შეუწყოს ევროპაში მე-20 საუკუნის ურბანიზმის შესახებ ერთიან გაგებას. urbanHIST გეგმავს, ხელი შეუწყოს მნიშვნელოვან გარღვევას ევროპული დაგეგმარების ისტორიის დარგში, რომელიც ამჟამად განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. მაღალი პროფილის მეცნიერებისა და პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ქსელის მიერ 8 თემატურ სფეროში 15 საწყისი ეტაპის კვლევა მიმდინარეობს. მართლაც, სამეცნიერო და არასამეცნიერო პარტნიორები პროექტის სამეცნიერო დონეს სისტემატურად ზრდიან. ახალი ცოდნა, კრიტიკული დებატები და გავრცობა გაძლიერდა და მოხდა რეფლექსიური ევროპული იდენტობის ხელშეწყობა.
წყარო:	<a href="https://www.urbanhist.eu">https://www.urbanhist.eu</a> <a href="https://cordis.europa.eu/project/rcn/205563/factsheet/en">https://cordis.europa.eu/project/rcn/205563/factsheet/en</a>

პროექტი:	AllTourist: სოციალური ტურიზმის პროფესიონალურ კვალიფიკაციათა კონსოლიდაცია ევროპულ სტანდარტებამდე
დაფინანსების წყარო:	ერაზმუსი + (კონკურსი2016) საკვანძო ღონისძიება 2 „თანამშრომლობა ინოვაციებისა და წარმატებული მაგალითების გაცვლისთვის“ „სტრატეგიული პარტნიორობა პროფესიული განათლებისთვის“
კულტურული მარშრუტი:	» ფინიკიური მარშრუტი
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Universidad de Jaén (ხენის უნივერსიტეტი, ესპანეთი), ლიდერი პარტნიორი</li> <li>• Organisation Internationale du Tourisme Social-OITIS (საერთაშორისო სოციალური ტურიზმის ორგანიზაცია -ISTO, ბელგია)</li> <li>• Agrupación para el Desarrollo Sostenible y la Promoción del Empleo Rural-ADESPER (სოფელში დასაქმების მდგრადი განვითარებისა და ხელშეწყობის ასოციაცია, ესპანეთი)</li> <li>• La Rotta dei Fenici (იტალია)</li> <li>• Siksali Arendusselts MTÜ (ესტონეთი)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 119.340 –EU დაფინანსების დონე: 100%
განხორციელების პერიოდი:	დეკემბერი 2016 – მარტი 2019
აღწერა:	ქვემოდან ზემოთ პრინციპზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის წყალობით, პროექტი მდგრადი ტურისტული დარგის რეალურ საჭიროებებზე მორგებას მოიაზრებდა. პროექტის მიზანი იყო პროფესიონალური კვალიფიკაციებისა და ევროპული კვალიფიკაციების შესწავლა და ანალიზი „ტრანსვერსიული კომპეტენციის კვლევითი საზოგადოების წესები 2014-2020“-ზე მათი მორგების მიზნით და ასევე დარგში სამუშაო ადგილების შექმნისა და სამეწარმეო პოტენციალის შესახებ ანგარიშის მომზადება. პროექტების ფარგლებში შეიქმნა საპილოტე სასწავლო კურსი სტაჟირებით 25 სტუდენტისთვის. 120 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა სემინარებსა და ონლაინ სამიზნე კურსებში. პროექტის ქსელი ითვლის 150 მიმდგრებულ ევროპულ ორგანიზაციას (3 კონტინენტის 36 სახელმწიფოთი და ISTO-სთან ასოცირებული 2 საერთაშორისო ორგანიზაციით). ამგვარად, მოსალოდნელი იყო რომ AllTourist ჩამოაყალიბებდა პროფესიონალურ კვალიფიკაციათა ერთობლიობას იმ აუცილებელი ცოდნის თავმოსაყრელად, რომელიც პროფესიონალებს შეიძლება დასჭირდეთ ტურიზმის მომავლისთვის ევროპის მასშტაბით („სოციალური ტურიზმის გაერთიანების პროფესიონალი 2020“ პროფესიონალურ სერტიფიკატთან დაკავშირებით), და შეექმნა „ღია საგანმანათლებლო წყარო“ სწავლების, სწავლისა და შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტებითა და მულტიმედიაური მასალებით.
წყარო:	<a href="http://erasmuska2alltourist.com">http://erasmuska2alltourist.com</a> <a href="https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/projects/eplu-project-details">https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/projects/eplu-project-details</a>

<b>პროექტი:</b>	DECRA – ევროპული კულტურული მარშრუტების განვითარება ყველასთვის
<b>დაფინანსების წყარო:</b>	ერაზმუსი + (კონკურსი 2017) საკვანძო ღონისძიება 2 „თანამშრომლობა ინოვაციებისა და წარმატებული მაგალითების გაცვლისთვის“ „სტრატეგიული პარტნიორობა პროფესიული განათლებისთვის“
<b>კულტურული მარშრუტი:</b>	» ATRIUM » კულტურული მარშრუტი ებრაული მემკვიდრეობისთვის » რომის იმპერატორებისა და დუნაის ღვინის მარშრუტი » TRANSROMANICA » VIA REGIA
<b>პროექტის პარტნიორი:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• Fédération Française des Itinéraires Culturels Européens-FFICE (ევროპული კულტურული მარშრუტების ფრანგული ფედერაცია, საფრანგეთი), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• Association Européenne pour la Préservation et la Valorisation de la Culture et du Patrimoine Juifs-AEPJ (LU ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვისა და მხარდაჭერის ევროპული ასოციაცია, ლუქსემბურგი)</li> <li>• Avignon Université (University of Avignon, FR ავინიონის უნივერსიტეტი, საფრანგეთი)</li> <li>• Dunavski Centar za Kompetenciju Udruzenje (დუნაის კომპეტენციის ცენტრი- DCC, სერბეთი)</li> <li>• NETZ - Medien und Gesellschaft e.V. (გერმანია)</li> <li>• TRANSROMANICA e.V. (გერმანია)</li> </ul>
<b>ევროკავშირის კონტრიბუცია:</b>	EUR 177.450 –EU დაფინანსების დონე: 100%
<b>განხორციელების პერიოდი:</b>	აპრილი 2017 –სექტემბერი 2019
<b>აღწერა:</b>	Erasmus+DECRA შეიქმნა 18 ECR-ის ერთობლივი რეფლექსიის საფუძველზე, რომელთა შორის არიან პასუხისმგებელი ასოციაცია ATRIUM, ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი, TRANSROMANICA და რომის იმპერატორებისა და დუნაის ღვინის მარშრუტი. აღიარებს რა ECR-ის საერთაშორისო როლს, პროექტი მიზნად ისახავს ევროპული კულტურული თანამშრომლობის ეფექტური განხორციელებისთვის აუცილებელი უნარების, გამოცდილებისა და ნოუ-ჰაუს თავმოყრას. DECRA-ის ამოცანაა რა მხოლოდ თავი მოუყაროს, არამედ ძირითადად იმსჯელოს, გააანალიზოს და გააზიაროს ევროპული კულტურული მარშრუტების ფარგლებში უკვე განხორციელებული წარმატებული მაგალითები (იმის მიუხედავად, რა პროფილს თუ ორგანიზაციას ეხება), ადაპტირებული და ფართე მომხმარებლისთვის ადვილად გამოყენებადი ციფრული საშუალებების დახმარებით. პროექტი ამ მეთოდს იყენებს 4 კონკრეტული თემისთვის, მათ შორის ადგილობრივი მემკვიდრეობის საკუთრების ხელახალი გადნაწილება და ფასის დადგენა FARO-ს კონვენციის შესაბამისად), სოციალური ჩართულობა და მოქალაქეთა მონაწილეობა, ძველთა მისაწვდომობა ფართე გაგებით და ევროპული ქსელების გრძელვადიანი განვითარება (სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის მიდგომის ჩათვლით). DECRA-ს ფარგლებში მოწყობილი ყველა შეხვედრის ყურადღების ცენტრში ექცეოდა ზემოთ დასახელებული თემები და პარტნიორები აღნიშნულ დარგებში საკუთარ მარშრუტების საუკეთესო გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს. ყოველ შეხვედრაზე კონკრეტული თემის განხორციელების ღრმა განხილვა



	<p>ეწყოზოდა, ადგილზე ვიზიტებისა და იმ ხალხთან დიალოგის გზით, რომლებიც ადგილობრივი თემების განვითარებაში არიან ჩართული. FARO-ს კონვენციის შესაბამისად, ადგილზე ვიზიტები ემსახურებოდა იმის წარმოჩენას, თუ როგორ ამალეებს კულტურული მემკვიდრეობა ადგილობრივი თემების ცხოვრების ხარისხს, და პირუკუ, როგორ იღებენ ადგილობრივი თემები მონაწილეობას არსებულ კულტურაზე, კულტურული მემკვიდრეობასა და იდენტობაზე ზრუნვაში ან ქმნიან მათ ახალ ფორმებს. შეხვედრებზე მარშრუტების წარმომადგენელთა ერთობლივი მონაწილეობით, გაცვლილი ცოდნითა და ერთმანეთთან თანამშრომლობის შანსით, პარტნიორები კულტურისა და კულტურული ტურიზმის დარგში არსებული სიახლეების საქმის კურსში იმყოფებიან და ამით უზრუნველყოფენ ECR-ის უფრო მდგრად განვითარებასა და მის კავშირს ადგილობრივ თემებთან. ქვემოდან ზემოთ პრინციპზე დაფუძნებული მიდგომის საშუალებით, DECRA ხელს უწყობს საგანმანათლებლო და კულტურულ თანამშრომლობას ევროპის მასშტაბით არაფორმალური განათლების დონეზე და ასევე კოლეგიალური სწავლების საშუალებით. პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შედეგი იქნება ონლაინ მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც თავს მოიყრის ყველა გამოცდილება და რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ფართე საზოგადოებისთვის.</p>
წყარო:	<p><a href="http://routes-practices.eu">http://routes-practices.eu</a>  <a href="https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/projects/eplus-project-details">https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/projects/eplus-project-details</a></p>

პროექტი:	HANSA – ჰანზური მიდგომა ახალი მდგრადი ალიანსებისადმი
დაფინანსების წყარო:	INTERREG A ცენტრალური ბალიტიკა (პირველი კონკურსი) პრიორიტეტი 2 „ზიარი რესურსების რაციონალური გამოყენება“ კონკრეტული ამოცნა 2.1. „ეროვნული და კულტურული რესურსების მდგრად ტურისტულ ღირსშესანიშნაობად ჩამოყალიბება“
კულტურული მარშრუტი:	» ჰანზა
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინსპირაცია გოტლანდი (შვედეთი), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• გოტლანდის რეგიონი (შვედეთი)</li> <li>• Cēsu Kultūras un Tūrisma Centrs (ცესისის კულტურული და ტურისტული ცენტრი, ლატვია)</li> <li>• Koknese Novada Dome (კოკნესეს საოლქო საბჭო, ლატვია)</li> <li>• Kuldīgas Novada Pašvaldība (კულდიგასის მუნიციპალიტეტი, ლატვია Municipality of Kuldīga, LV)</li> <li>• Limbažu Novada Pašvaldība (ლიმბაჟის მუნიციპალიტეტი, ლატვია)</li> <li>• Pārgaujas Novada Pašvaldība პარგაუსის მუნიციპალიტეტი, ლატვია)</li> <li>• Pärnu Linnavalitsus (პიარნუს მუნიციპალიტეტი, ესტონეთი)</li> <li>• Valmiera Pilsētas Pašvaldība (ვალმიერას მუნიციპალიტეტი, ლატვია)</li> <li>• Vidzemes Plānošanas Reģions (ვიძემეს დაგეგმარების ზონა - VPR, ლატვია)</li> <li>• Viljandi Linnavalitsus (ვილიანდის მუნიციპალიტეტი, ესტონეთი)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 1.775.573 –EU დაფინანსების დონე: 81% (ERDF)
განხორციელების პერიოდი:	იანვარი 2015 – დეკემბერი 2018
აღწერა:	„ჰანზური მიდგომა ახალი მდგრადი ალიანსებისადმი - HANSA“, 11 მონაწილის - უმეტესად ჰანზური ქალაქების - თანამშრომლობით განხორციელებული შვედურ-ესტონურ-ლატვიური პროექტი იყო. HANSA-ს მთავარი მიზანი იყო ისტორიული „ჰანზური ლიგის“ ღირებულებების აღორძინება, რომელიც ჯერ კიდევ გვხვდება წევრ ქალაქებში. ამას გარდა, პარტნიორი ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნისთვის, რამაც წვლილი შეიტანა ჰანზას ბალტიის ზღვის რეგიონში წამყვან ბრენდად და ევროსაბჭოს აქტიურ კულტურულ მარშრუტად ქცევის ძალისხმევაში. პროექტმა ახალი საფეხმავლო, ველოსიპედისა და სალაშქრო მარშრუტები შექმნა. ასევე ყურადღების ცენტრში მოექცა კულინარიული ასპექტები, როგორც ადგილობრივი პროდუქციის, ისე „ჰანზური კულინარიის“ რესტორანთა ხარისხის ნიშნის კუთხით. მიზანი იყო ამ ახალი პროდუქტების სხვა ჰანზური ქალაქებისთვის გადაცემა ტრანსნაციონალური ასპექტების გაძლიერების მიზნით და ასევე წლის განმავლობაში შემომავალი ტურისტული ნაკადის გაზრდა. პროექტიდან გამომდინარე ცვლილებები საერთაშორისო ტრანსნაციონალური ტურისტულ პაკეტებსა და ჰანზურ მიმართულებებზე ტურისტული სეზონის გაზრდაში უნდა აისახოს. მიღწეული შედეგებით ისარგებლებენ ადგილობრივი მოსახლეობა, დაინტერესებული მონაწილეები და ბიზნესები, ასევე ვიზიტორებიც.
წყარო:	<a href="http://database.centralbaltic.eu/project/20">http://database.centralbaltic.eu/project/20</a> <a href="https://www.hanse.org/en/projects/explore-hansa">https://www.hanse.org/en/projects/explore-hansa</a>

პროექტი:	ATRIUM PLUS
დაფინანსების წყარო:	INTERREG A იტალია-ხორვატია (პირველი კონკურსი) პრიორიტეტი 3 „ზუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა“ კონკრეტული ამოცნა 3.1. „ზუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის გადაქცევა ტერიტორიის მდგრადი და ჰარმონიული განვითარების ბერკეტად“
კულტურული მარშრუტი:	» ATRIUM
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Comune di Forlì (ფორლის მუნიციპალიტეტი, იტალია), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• Comune di Bari (ბარის მუნიციპალიტეტი, იტალია)</li> <li>• Comune di Ferrara (ფერარას მუნიციპალიტეტი, იტალია)</li> <li>• Grad Labin (ლაბინის მუნიციპალიტეტი, ხორვატია)</li> <li>• Sveučilište u Zadru (ზადარის უნივერსიტეტი, ხორვატია)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 592.254 – EU დაფინანსების დონე: 85% (ERDF)
განხორციელების პერიოდი:	იანვარი 2018 – ივნისი 2019
აღწერა:	<p>პროექტს სურს თანადაფინანსებით ადრე განხორციელებული სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის პროექტის ATRIUM-ის კაპიტალიზაცია. აღნიშნული პროექტი 2014 წელს სერტიფიცირებული კულტურული მარშრუტის შექმნით დაგვირგვინდა. ATRIUM PLUS მიზნად ისახავს მე-20 საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმების მემკვიდრეობის კულტურული ტურისტული ღირსშესანიშნაობის შექმნას, ინფორმირებული და ეთიკური მიდგომით. პროექტს გამოზნული აქვს ვიზიტორებისთვის განკუთვნილი ინფორმაციის საერთო სტრატეგიის განსაზღვრა და ქვეყანათაშორისი ტრენინგების ჩატარება ტურისტული გიდებისთვის, ასევე ქვეყანათაშორისი სასწავლო ვიზიტის პროგრამების განხორციელება სკოლების მონაწილეობით, ტოტალიტარული რეჟიმების არქიტექტურასა და მეხსიერებასთან დაკავშირებული კულტურული ტურიზმის პოტენციალის შეფასების მიზნით. ვიზიტორებისთვის განკუთვნილი საერთო საინფორმაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოიცავს მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სასარგებლო ინფორმაციის შემცველი საინფორმაციო პანელების/ტოტემების განთავსებას. ქვეყანათაშორისი ტურისტული სასწავლო კურსის სამიზნე აუდიტორიად მოიაზრებიან არა მხოლოდ პროფესიონალი გიდები, არამედ ის მოქალაქეები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, ითანამშრომლონ ეგრეთწოდებული „მემკვიდრეობის ტურების“ შემუშავებაში - იმ გამოცდილებების, რომელიც ევროსაბჭოს FARO-ს კონვენციამ გამოიღო შედეგად. ტრადიციული ვიზიტები კომბინირებულია სემინარებთან, რაც რეჟიმის პერიოდში ცხოვრების შესახებ ცოდნის გაღრმავებას ემსახურება. ამგვარად, პროექტის მთავარი შედეგებია 3 სასწავლო პროგრამა პროფესიონალი და მოყვარული გიდებისთვის, 1 სასწავლო ვიზიტის პროგრამა სკოლებისთვის, 1 საპილოტე კულტურული მარშრუტი 25 მრავალენოვანი პანელისა და ტოტემის, 5000 ბროშურისა და 5000 საინფორმაციო ფურცლის შესაქმნელად.</p>
წყარო:	<a href="https://www.italy-croatia.eu/web/atriumplus">https://www.italy-croatia.eu/web/atriumplus</a> <a href="http://www.atriumroute.eu/projects-menu/european-projects/271-atrium-plus-project">http://www.atriumroute.eu/projects-menu/european-projects/271-atrium-plus-project</a>

პროექტი:	COME-IN! - თანამშრომლობა მუზეუმებში თავისუფალი წვდომისთვის - ჩართულობის გასაზრდელად
დაფინანსების წყარო:	INTERREG B ცენტრალური ევროპის ტრანსნაციონალური პროგრამა (პირველი კონკურსი) პრიორიტეტი 3 „ბუნებრივი და კულტურული რესურსები“ კონკრეტული ამოცანა 3.2. „კულტურული მემკვიდრეობისა და რესურსების ეფექტური გამოყენების პოტენციალის გაზრდა“
კულტურული მარშრუტი:	» VIA REGIA
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცენტრალური ევროპის ინციატივა (CEI), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• Arheološki Muzej Istre (ისტრიას არქეოლოგიური მუზეუმი, ხორვატია)</li> <li>• Berufliches Bildungs- und Rehabilitationszentrum-BBRZ (ავსტრია)</li> <li>• Bundesverband für Menschen mit Behinderungen-ÖZIV (ავსტრიის სამოქალაქო ინვალიდთა ასოციაცია, ავსტრია)</li> <li>• Civici Musei Udine (უდინეს მუნიციპალური მუზეუმი, იტალია)</li> <li>• Consulta Regionale delle Associazioni di Persone Disabili e delle loro Famiglie del Friuli-Venezia Giulia (ფრიული-ვენეცია-ჯულიას ინვალიდთა და მათი ოჯახების ასოციაციების რეგიონალური საბჭო, იტალია)</li> <li>• ENAIP Friuli-Venezia Giulia (იტალიელი მშრომელების ქრისტიანული ასოციაციის ფრიული-ვენეცია-ჯულიას პროფესიული განათლების ორგანიზაცია, იტალია)</li> <li>• Fachhochschule Erfurt (ერფურტის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, გერმანია)</li> <li>• Museum Arbeitswelt Steyr (მსოფლიოს მშრომელთა მუზეუმი შტაირში, ავსტრია)</li> <li>• Museum für Ur- und Frühgeschichte des Archäologischen Landesmuseums Thüringen ( DE თიურინგის სახემწიფო არქეოლოგიური მუზეუმის პრე- და ანტიკური ისტორიის მუზეუმი, გერმანია)</li> <li>• Muzeum Archeologiczne w Krakowie (კრაკოვის არქეოლოგიური მუზეუმი, პოლონეთი)</li> <li>• NETZ - Medien und Gesellschaft e.V. (გერმანია)</li> <li>• Občina Piran (პირანის მუნიციპალიტეტი, სლოვენია)</li> <li>• Pomorski Muzej 'Sergej Mašera' Piran (პირანის სერგეი მაშერის სახელობის საზღვაო მუზეუმი, სლოვენია)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 2.724.488 –EU დაფინანსების დონე: 85%
განხორციელების პერიოდი:	ივნისი 2016 – ივლისი 2019
აღწერა:	COME-IN ცენტრალური ევროპის INTERREG-ის მიერ არის თანადაფინანსებული. მისი მიზანია, ცენტრალური ევროპის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო ზომის მუზეუმების პოტენციალის გაზრდა მათი სხვადასხვა სახის შეზღუდული უნარების მქონე პირთათვის მისაწვდომობის გაზრდის გზით. პროექტს, რომელშიც ჩართული 14 მონაწილე, მათ შორის მუზეუმები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასოციაციები, აკადემიური წარმომადგენლობები, სასწავლო დაწესებულებები და სამთავრობო სტრუქტურები, CEI უწევს კოორდინაციას. პროექტი მაღალი დონის ტრანსნაციონალურ სტანდარტებს

	<p>აწესებს და უზრუნველყოფს ნოუ-ჰაუს გადაცემას, იმისთვის, რომ მუზეუმების საყოველთაო მისაწვდომობა იყოს გარანტირებული. შემუშავდა სპეციალური ინსტრუქციები ხელმისაწვდომი კოლექციებისა და ინკლუზიური მულტი-სენსორული გამოფენების ორგანიზებისათვის. ასევე, მუზეუმების თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი გახდება სასწავლო სახელმძღვანელო. შემუშავდება ინოვაციური სტიმულირების საშუალება - COME-IN!-ის ემბლემა, იმ მუზეუმების დასაჯილდოებლად, რომლებიც შემუშავებულ მისაწვდომობის სტანდარტებს დააკმაყოფილებენ.</p>
წყარო:	<a href="https://www.interreg-central.eu/Content.Node/COME-IN.html">https://www.interreg-central.eu/Content.Node/COME-IN.html</a>

პროექტი:	ECRR – რეფორმაციის ევროპული კულტურული მარშრუტი
დაფინანსების წყარო:	INTERREG B ცენტრალური ევროპა (პირველი კონკურსი) პრიორიტეტი 3 „თანამშრომლობა ბუნებრივი და კულტურული რესურსების სფეროში ცენტრალური ევროპაში მდგრადი ზრდისთვის“ კონკრეტული ამოცანა 3.2. „კულტურული მემკვიდრეობისა და რესურსების ეფექტური გამოყენების პოტენციალის გაზრდა“
კულტურული მარშრუტი:	» რეფორმაციის მარშრუტები
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Thüringer Landgesellschaft mbH (თირინგიის რეგინის სოფლის განვითარების ასოციაცია, გერმანია), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• ზემო თისის ტერიტორიის მუნიციპალიტეტების ასოციაცია - AMUTA (უნგრეთი)</li> <li>• Dolnośląska Organizacja Turystyczna (ქვემო სილეზიის ტურისტული ორგანიზაცია, პოლონეთი)</li> <li>• Evangelische Kirche A.B. in Österreich (აუგუსტბურგის აღმსარებლობის პროტესტანტული ეკლესია ავსტრიაში, ავსტრია)</li> <li>• Istituto Superiore sui Sistemi Territoriali per l’Innovazione (ტერიტორიული სისტემების ინოვაციების უმაღლესი ინსტიტუტი, იტალია)</li> <li>• Kirche und Tourismus e.V. (DE), Landesverband für Tourismus in Oberösterreich (ზემო ავსტრიის ტურისტული საბჭო, ავსტრია)</li> <li>• Mestna občina Velenje (ველენიეს მუნიციპალიტეტი, სლოვენია)</li> <li>• Regionální Rozvojová Agentura Plzeňského Kraje (პლზენის რეგიონალური განვითარების სააგენტო, ჩეხეთი)</li> <li>• Regionální Rozvojová Agentura Jižních Čech-RERA a.s. (სამხრეთ მოჰემის რეგიონალური განვითარების სააგენტო, ჩეხეთი)</li> <li>• Standortmarketing Mansfeld-Südharz GmbH (გერმანია)</li> <li>• Szabolcs-Szatmár-Bereg Megye Honlapja (საბოლჩ-სატმარ-ბერეგის ოლქის თვითმმართველობა, უნგრეთი)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 1.896.160 – EU დაფინანსების დონე: 82%
განხორციელების პერიოდი:	ივლისი 2016 – ივნისი 2019
აღწერა:	ECRR INTERREG პროექტი მიზნად ისახავდა ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე არსებული რეფორმაციის თემასთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ადგილების, ობიექტების და არა მატერიალური მემკვიდრეობის გამოვლენის, შერჩევისა და დაკავშირების გზით ტრანსნაციონალური ევროპული რეფორმაციის კულტურული მარშრუტის დაარსებას. მართლაც, რეფორმაციის მემკვიდრეობა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ დიდწილად იგნორირებულია, როგორც რეგიონალური რესურსი, ცენტრალური ევროპის საერთო ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. პროექტის საბოლოო მიზანი იყო 2019 წელს ევროპის საბჭოს მერ ევროპის კულტურის რეფორმაციის მარშრუტის აღიარება. ECRR-ის დასრულების შემდეგ, მარშრუტის ეფექტური განხორციელების, კონსოლიდაციისა და გაფართოების უზრუნველყოფის მიზნით, კონსორციუმმა სტაბილური და ხანგრძლივი ტრანსნაციონალური მართვის სტრუქტურა შეიმუშავა. პროექტმა გამოიყენა უფლებამოსილებათა გადანაწილების ქვემოთ ხეშეშორებით პრინციპზე დამყარებული მიდგომა, რომელშიც ადგილობრივი და

	<p>რეგიონალური დაინტერესებული მხარეები აქტიურად არიან ჩართული პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში. სამოქმედო გეგმა ფორმალურად რეგიონალური განვითარებისა და/ან ტურიზმის სტრატეგიების მხარდაჭერის უფლებამოსილების მქონე 8 პროექტთან ასოცირებულმა პარტნიორმა შეიმუშავა. ამას გარდა, ინსტიტუციონალური განვითარება, ცოდნის გადაცემა, და საერთო სასწავლო პლატფორმების შექმნა პროექტის განუყოფელ ქვაკუთხედებს წარმოადგენენ, რომლებიც დაინტერესებული მხარეებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თემაზე ერთობლივი სწავლისა და ტრენინგებისთვის უხსნიან სივრცეს.</p>
წყარო:	<p><a href="https://www.interreg-central.eu/Content.Node/ECRR.html">https://www.interreg-central.eu/Content.Node/ECRR.html</a></p>

<b>პროექტი:</b>	CultPlatForm_21 –21-ე საუკუნის შემოქმედებითი სივრცეები
<b>დაფინანსების წყარო:</b>	INTERREG B დუნაის ტრანსნაციონალური პროგრამა (პირველი კონკურსი) პრიორიტეტი 2 „გარემოს დაცვისა და კულტურის მიმართ პასუხისმგებელი დუნაის რეგიონი“ კონკრეტული ამოცანა 2.2. „კულტურული მემკვიდრეობისა და რესურსების ეფექტური გამოყენების პოტენციალის გაზრდა“
<b>კულტურული მარშრუტი:</b>	» რომის იმპერატორებისა და დუნაის ღვინის მარშრუტი
<b>პროექტის პარტნიორი:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• Bunderkanzleramt Österreich – Kunst und Kultur (ავსტრიის ფედერალური კანცელარია - ხელოვნება და კულტურა, ავსტრია), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• Akademie Schloss Solitude (გერმანია)</li> <li>• Akademija Umetnosti Novi Sad (ნივის სადის ხელოვნების აკადემია, სერბეთი)</li> <li>• დუნაის კულტურული ჯგუფის ასოციაცია (ავსტრია)</li> <li>• Dunavski Centar za Kompetenciju Udruzenje (დუნაის კომპეტენციის ცენტრი - DCC, სერბეთი)</li> <li>• კულტურული მარშრუტების ევროპული ინსტიტუტი (ლუქსემბურგი)</li> <li>• უნგრეთის სასაზღვრო ხაზის ასოციაცია (უნგრეთი)</li> <li>• Kulturvernetzung Niederösterreich (AT)</li> <li>• Ministarstvo Kulture i Informisanja (კულტურისა და მედიის სამინისტრო, სერბეთი)</li> <li>• Ministerium für Wissenschaft, Forschung und Kunst Baden-Württemberg (ბადენ-ვიურტემბერგის მეცნიერების, კვლევისა და ხელოვნების სამინისტრო, გერმანია)</li> <li>• Ministerstvo na Kulturata (კულტურის სამინისტრო, ბულგარეთი)</li> <li>• Ministerstvo na Turizma (ტურიზმის სამინისტრო, ბულგარეთი)</li> <li>• Ministerul Culturii și Identității Naționale (კულტურისა და ეროვნული იდენტობის სამინისტრო, რუმინეთი)</li> <li>• MOTOVILA (სლოვენია)</li> <li>• Obshtina Vidin (ვიდინის მუნიციპალიტეტი, ბულგარეთი)</li> <li>• OÖ Kulturquartier (ზემო ავსტრიის კულტურის კვარტალი) და Verbund Oberösterreichischer Museen (ზემო ავსტრიის მუზეუმები) Amt der Oberösterreichischen Landesregierung Direktion Kultur-ის (ზემო ავსტრიის კულტურის დირექტორატი, ავსტრია) სახელით</li> <li>• Stadt Regensburg (ქალაქი რეგენსბურგი, გერმანია)</li> <li>• WGD Donau Oberösterreich Tourismus GmbH (ავსტრია)</li> <li>• Zsolnay Örökségkezelő Nonprofit Kft. (ჟოლნას კულტურული კვარტალი, უნგრეთი)</li> </ul>
<b>ევროკავშირის კონტრიბუცია:</b>	EUR 1.425.346,83 –EU დაფინანსების დონე: 85% (აქედან 93% ERDF-ის ფარგლებში და 7% - IPA-ს ფარგლებში)
<b>განხორციელების პერიოდი:</b>	იანვარი 2017 – ივნისი 2019
<b>აღწერა:</b>	პროექტი გეგმავს კულტურისა და ტურიზმის თანამშრომლობას კულტურული მარშრუტების თანამედროვე ასპექტების განვითარების მიზნით. დაგეგმილია ისტორიული ღირსშესანიშნაობის მქონე ადგილების აღმოჩენა და არსებული კულტურული მარშრუტების მხარდაჭერა ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის გზით. პროექტი მრავალფეროვან თემებზე ეძებს პასუხს,



	<p>როგორცაა დუნაის გასწვრივ ახალი მიმართულებების განვითარება, ისტორიული ადგილებისა და მოვლენების და კულტურული გამოცდილების ინტერპრეტირება თანამედროვე გზით. პოლიტიკის შემეცნების პლატფორმის დანერგვითა და კულტურული მარშრუტების სტრატეგიის თობაზე შეთანხმების მიღწევით ფუნდამენტი ჩაეყრება მდინარის გასწვრივ მომავალ თანამშრომლობასა და განვითარებას, კულტურის, ტურიზმისა და მეცნიერების სფეროდან EUSDR-ის 14 ქვეყნის წარმომადგენლის ჩართულობით. პროექტი ევროპული კომისიის მიერ დასახელდა „ევროპული კულტურული მემკვიდრეობის წელი 2018“-ის შესაბამის პროექტად კულტურულ და/ან შემოქმედებით სფეროში. მეტიც, ის 2018 წელს დასახელებული იყო დუნაის რომაული სასაზღვრო ხაზის დასავლეთ ნაწილის (ბავარიაში, ავსტრიაში, სლოვაკეთსა და უნგრეთში) UNESCO-ის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში წარდგენის კონტექსტში.</p>
წყარო:	<a href="http://www.interreg-danube.eu/approved-projects/cultplatform-21">http://www.interreg-danube.eu/approved-projects/cultplatform-21</a>

<b>პროექტი:</b>	Art Nouveau - არტ-ნუვოს მემკვიდრეობის ეფექტური დაცვა და განვითარება დუნაის რეგიონში
<b>დაფინანსების წყარო:</b>	INTERREG B დუნაის ტრანსნაციონალური პროგრამა (პირველი კონკურსი) პრიორიტეტი 2 „გარემოს დაცვისა და კულტურის მიმართ პასუხისმგებელი დუნაის რეგიონი“ კონკრეტული ამოცანა 2.2. „კულტურული მემკვიდრეობისა და რესურსების ეფექტური გამოყენების პოტენციალის გაზრდა“
<b>კულტურული მარშრუტი:</b>	» Réseau Art Nouveau Network
<b>პროექტის პარტნიორი:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• Primăria Oradea (ორადიას მუნიციპალიტეტი, რუმინეთი), წამყვანი პარტნიორი</li> <li>• Grad Subotica (ქალაქი სუბოტიცა, სერბეთი)</li> <li>• Iparművészeti Múzeum (ბუდაპეშტის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, უნგრეთი)</li> <li>• ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების საერთაშორისო საბჭო- ICOMOS რუმინეთი (რუმინეთი)</li> <li>• MAK Museum Wien (ავსტრიის გამოყენებითი ხელოვნების / თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ავსტრია)</li> <li>• Muzej za Umjetnost i Obrt (ზაგრების დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, ხორვატია)</li> <li>• Nacionalna Akademična Bibliotečno-Informacionna Sistema- NABIS Foundation (ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო სისტემის ეროვნული აკადემია-NALI-ის ფონდი, ბულგარეთი)</li> <li>• Republički Zavod za Zaštitu Spomenika Kulture (კულტურული ძეგლების დაცვის რესპუბლიკური ინსტიტუტი, სერბეთი)</li> <li>• სეგედისა და მისი შემოგარენის ტურიზმის არაკომერციული შპს (უნგრეთი)</li> <li>• Urbanistični Inštitut Republike Slovenije-UIRS (სლოვენიის რესპუბლიკის ქალაქის დაგეგმარების ინსტიტუტი, სლოვენია)</li> <li>• Réseau Art Nouveau Network (ბელგია), ასოცირებული პარტნიორი</li> </ul>
<b>ევროკავშირის კონტრიბუცია:</b>	EUR 1.402.125–EU დაფინანსების დონე: 85% (აქედან 86% ERDF-ის ფარგლებში და 14% - IPA-ს ფარგლებში)
<b>განხორციელების პერიოდი:</b>	იანვარი 2017 – ივნისი 2019
<b>აღწერა:</b>	<p>არტ-ნუვო მრავალ ქვეყანაში ბევრი ქალაქის პეიზაჟის განმასხვავებელი ნიშანია, და მას ამ ქალაქების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირების უნარი შესწევს. მართლაც, პროექტი Art Nouveau თავს უყრის დუნაის რეგიონის 7 სახელმწიფოს წარმომადგენელ 10 პარტნიორს, მისი პოტენციალის აღიარების, გრძელვადიანი და სისტემატიზირებული დაცვის საჭიროებაზე რეაგირებისა და მისი განახლებისა და პოპულარიზაციის მიზნით. პროექტით იგეგმება ურთიერთდაკავშირებული დარგთაშორისი ღონისძიებების გატარება, რაც დაცვისა და განახლების სრულ ციკლში იკვრება. ძველთა დაცვის მუზეუმები და ინსტიტუტები ითავებენ არტ-ნუვოს გამოხატვის ფესვებისა და ფორმების სამეცნიერო კვლევას, მისი ფიზიკური კონსერვაციის გაუმჯობესებითა და ციფრულ ფორმატში შენახვის უზრუნველყოფით. ქალაქდაგეგმარების ინსტიტუტი და მუნიციპალიტეტები მუშაობენ ფაქტობრივ მონაცემებზე დამყარებული რეკომენდაციების შემუშავებაზე, რაც მოემსახურება არტ-ნუვოს</p>

	<p>დაცვისა და რეაბილიტაციას და ამასთან მის წარმატებულ ფუნქციონირებასა და ურბანულ ქსოვილში ესთეტიკურ შერწყმას. ამას ერთვის ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე გულმოდგინედ დაგეგმილი საინფორმაციო საქმიანობები და კამპანიები. ამ ყველა ღონისძიების კომბინაციის წყალობით უზრუნველყოფილი იქნება არტ-ნუვოს მემკვიდრეობის ეფექტური მენეჯმენტი და აღორძინება. შედეგად, ადგილობრივი მკვიდრნი, ტურისტები და მომავალი თაობები დააფასებენ და მოუვლიან მის ღირებულებებსა და ძეგლებს, იმის ნაცვლად, რომ ჩაიკარგონ მასში, როგორც წარსულიდან შემორჩენილ ნაშთებში. ამას გარდა, პროექტი საბოლოოდ მიაღწევს ფასდაუდებელ მიზანს, რაც დუნაის რეგიონში არტ-ნუვოს კულტურული მემკვიდრეობის შემაკავშირებელი პოტენციალის გამოყენებაში გამოიხატება.</p>
წყარო:	<p><a href="http://www.interreg-danube.eu/approved-projects/art-nouveau">http://www.interreg-danube.eu/approved-projects/art-nouveau</a></p>

<b>პროექტი:</b>	InnovaSPA – ჯანდაცვის ინოვაციური გადაწყვეტილებები თერმული წყაროებისთვის
<b>დაფინანსების წყარო:</b>	INTERREG C ევროპა (მესამე კონკურსი) პრიორიტეტი 1 „კვლევის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის გაძლიერება“ კონკრეტული ამოცანა 1.2. „რეგიონალური განვითარების პოლიტიკებისა და პროგრამების დანერგვის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ზრდისა და დასაქმების საინვესტიციო პროგრამების და, საჭიროებისამებრ, შესაბამისი ევროპულ ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების, რომლებიც „არჩევითი სპეციალიზაციის“ და „ინოვაციური შესაძლებლობების“ სფეროებში მოღვაწე „რეგიონალური ინოვაციური ჯაჭვის აქტორების“ მიერ ინოვაციების მხარდაჭერასა და დანერგვას უწყობენ ხელს.
<b>კულტურული მარშრუტი:</b>	» ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი
<b>პროექტის პარტნიორი:</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• Association Thermauvergne (საფრანგეთი) , წამყვანი პარტნიორი</li> <li>• Agentia pentru Dezvoltare Regionala Centru-ADRC (რეგიონალური განვითარების სააგენტო Centru , რუმინეთი)</li> <li>• Baltijas Jūras Reģiona Klasteru Eksperti-BJRKE (ბალტიის ზღვის რეგიონის ექსპერტთა ჯგუფი- CEBSR, ლატვია)</li> <li>• Debreceni Egyetem (დებრეცენის უნივერსიტეტი, უნგრეთი)</li> <li>• Lietuvos Inovacijų Centras (ლიეტუვას ინოვაციის ცენტრი, ლიეტუვა)</li> <li>• Razvojna Agencija Savinjske Regije (სავინსკას რეგიონის განვითარების სააგენტო, სლოვენია)</li> <li>• Universidade do Porto (პორტუს უნივერსიტეტი, პორტუგალია)</li> <li>• Warmińsko-Mazurska Agencja Rozwoju Regionalnego S.A. w Olsztynie (სს ვარმინო-მაზურის რეგიონალური განვითარების სააგენტო ოლშტინში, პოლონეთი)</li> </ul>
<b>ევროკავშირის კონტრიბუცია:</b>	EUR 1.117.556 – EU დაფინანსების დონე: 83% (ERDF)
<b>განხორციელების პერიოდი:</b>	ივნისი 2018 – ნოემბერი 2022
<b>აღწერა:</b>	InnovaSPA მიზნად ისახავს იმ პოლიტიკების გაუმჯობესებას, რომლებიც პრევენციული მედიცინისა და ჰიდროთერაპიის დარგში მოღვაწე პარტნიორთა შორის ცოდნის გადაცემასა და ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურება, განვითარებადი ჯანსაღი ცხოვრების წესის ინოვაციური გადაწყვეტილებების ბაზარზე შესვლის დაჩქარების მიზნით. Thermauvergne პროექტის წამყვანი პარტნიორი ასოციაციაა, რომელიც ოვერნის თერმულ ცენტრებს აკავშირებს. მათგან ზოგიერთი ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის წევრია. InnovaSPA საზოგადოების დაბერების სოციალურ პრობლემაზე მუშაობს და სურს აჩვენოს, რომ ჰიდროთერაპიას, მკურნალობისა და თავის მოვლის ინოვაციური გადაწყვეტილებების შემოღების გზით, შეიძლება უზარმაზარი პოტენციალი ჰქონდეს ჯანდაცვის ეფექტურობის ამაღლების კუთხით. ჯანსაღი ცხოვრების წესი და დაავადებათა პრევენცია სულ უფრო რელევანტური უნდა გახდეს სამიზნე ჯგუფების გაფართოების კუთხით. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლებები მზად არიან მხარდაჭერისთვის. დაინტერესებულნი

	<p>მონაწილეები ყველა სფეროდან აქტიურად იქნებიან ჩართული გამოცდილების გაცვლის პროცესში რეგიონებს შორის დონეზე, ისევე როგორც დაგეგმილი პოლიტიკური ღონისძიებების დანერგვაში. პროექტი 3 საფეხურისგან შედგება. საწყის ეტაპზე მოხდება მოცემულ დარგში გამოცდილებების რეგიონთაშორისი გაცვლა, რასაც მოჰყვება თერმული წყაროების რეგიონებში მათი დანერგვა ინოვაციური ჯანდაცვის გადაწყვეტილებების პოლიტიკაში. დაგეგმილია საინფორმაციო ბიულეტენების დაგზავნა და დასკვნითი საინფორმაციო ღონისძიების ჩატარება, ევროპის დანარჩენ ტერიტორიებზე ინფორმაციის გავრცელების მიზნით. პროექტის დასრულებისას, გამოვლინდება სულ მცირე 16 წარმატებული მაგალითი, დაიხვეწება 8 სამიზნე პოლიტიკური ინსტრუმენტი. 16 თანამშრომელი ახალ რესურსებს დანერგავს საკუთარი მოღვაწეობის სფეროში და 50 მონაწილე, გამოცდილებების გაცვლის გზით, დახვეწს უნარებსა და გაიღრმავებს ცოდნას.</p>
წყარო:	<a href="https://www.interregeurope.eu/innovaspa">https://www.interregeurope.eu/innovaspa</a>

პროექტი:	UMAYYAD –ხმელთაშუაზღვისპირეთის ტერიტორიალური ერთიანობის გამყარება ტურისტულ-კულტურული მარშრუტის შემუშავების გზით
დაფინანსების წყარო:	ევროპული სამეზობლოსა და პარტნიორობის მექანიზმის საზღვართაშორისი თანამშრომლობა „ხმელთაშუა ზღვის აუზის პროგრამა“ 2007-2013, (სტრატეგიული პროექტების კონკურსი) პრიორიტეტი 1 „ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა“ თემა 1.2 „მდგრადი ტურიზმი“
კულტურული მარშრუტი:	» El Legado Andalusi-ს მარშრუტები
პროექტის პარტნიორი:	<ul style="list-style-type: none"> <li>• Fundación Pública Andaluza ‘El Legado Andalusi’ (საზოგადოებრივი ანდალუსიური ფონდი „ანდალუსიის მემკვიდრეობა“, ესპანეთი ) წამყვანი პარტნიორი</li> <li>• საერთაშორისო განვითარების აკადემია -ახლო აღმოსავლეთი-AID-ME (ევვიპტე)</li> <li>• ალგარვის ტურიზმის საბჭო (პორტუგალია)</li> <li>• არაბული ქვეყნების ლიგის განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაცია -ALECSO (ტუნისი)</li> <li>• Asociación Europea para el Desarrollo Profesional y Cultural ‘Maimónides’ (პროფესიული და კულტურული განვითარების ევროპული ასოციაცია ‘Maimónides’, ესპანეთი)</li> <li>• ხმელთაშუა ზღვის ურთიერთობების ასოციაცია (ტუნისი)</li> <li>• Associazione Circuito Castelli e Borghi Medioevali (ციხესიმაგრეთა და შუა საუკუნეების ქალაქების ასოციაცია, იტალია)</li> <li>• Chambre Tuniso-Italienne de Commerce et de l’Industrie (იტალია-ტუნისის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ტუნისი)</li> <li>• Consejo Andaluz de Cámaras de Comercio, Industria, Servicios y Navegación (ანდალუსიის სავაჭრო პალატათა საბჭო, ესპანეთი, ES )</li> <li>• CulTech in Archaeology and Conservation (იორდანია)</li> <li>• Direção Regional de Cultura do Algarve (ალგარვის კულტურის რეგიონალური დირექცია, პორტუგალია)</li> <li>• ევვიპტის სავაჭრო პალატების ფედერაცია - FEDCOC ალექსანდრიაში (ევვიპტე)</li> <li>• Qadaa' Jbail-Byblos (ჯუბეილ-ბიბლოსის უბანი, ლიბანი)</li> <li>• საფადის ფონდი (ლიბანი)</li> <li>• ლიბანურ-ამერიკული უნივერსიტეტის ქალაქდაგეგმარების ინსტიტუტი (ლიბანი)</li> </ul>
ევროკავშირის კონტრიბუცია:	EUR 3.738.288 – EU დაფინანსების დონე: 90%
განხორციელების პერიოდი:	დეკემბერი 2012 – დეკემბერი 2016
აღწერა:	პროექტში Umayyad ჩართული იყვნენ ევროკავშირი და ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორი ქვეყნები, ტერიტორიული ერთიანობის გაძლიერებაში წვლილის შეტანისა და ტურიზმის სფეროში სეზონური დისბალანსის დაძლევის მიზნით, ომაიანის მემკვიდრეობის კულტურული მარშრუტის შექმნის შედეგად წარმოქმნილი სინერგიების ბაზაზე. ომაიანის მარშრუტი გეგმავს, კვალდაკვალ გაყვას ომაიანის დინასტიის მოგზაურობის

	<p>მარშრუტის ნაწილს, მისი დედაქალაქი დამასკოდან ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროების გაყოლებაზე პირენეს ნახევარკუნძულამდე. იგი მიყვება იმ გზას, რომლითაც არაბულ-მუსლიმურმა ცივილიზაციამ მიაღწია ევროპამდე და რომელმაც დასაბამი მისცა კორდობას სახალიფოს, სადაც ესპანურ-მუსლიმური ცივილიზაცია ყვაოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. ამგვარად, შემოთავაზებული მარშრუტი იწყება მისი უკიდურესი აღმოსავლეთ წერტილიდან იორდანიაში და ლიბანში, კვეთს ეგვიპტესა და ტუნისს, ჩერდება სიცილიაში და სრულდება პირენეს ნახევარკუნძულზე (ესპანეთი და პორტუგალია). მარშრუტის სხვადასხვა მონაკვეთები გადის ძველებზე, რომლებიც ან ომაიანის ეპოქას განეკუთვნება, ან დინასტიის ყველაზე უფრო გამორჩეულ წარმომადგენლებთან არის კავშირში. პროექტის ფარგლებში შემუშავდა პოლიტიკის გამტარებლების, ტუროპერატორებისა და მეწარმეებისთვის მიძღვნილი სასწავლო სესიები, ადგილობრივი სამოქმედო გეგმები და ტურისტული პაკეტები. გარდა ამისა, 2018 წელს, ბიბლოსში (ლიბანი) საზეიმოდ გაიხსნა კულტურული ტურიზმისა და ომაიანის მარშრუტისადმი მიძღვნილი მუდმივმოქმედი გამოფენა.</p>
<p>წყარო:</p>	<p><a href="http://umayyad.eu">http://umayyad.eu</a>  <a href="https://www.keep.eu/project/16400/improvement-of-mediterranean-territorial-cohesion-through-setup-of-tourist-cultural-itinerary-umayyad">https://www.keep.eu/project/16400/improvement-of-mediterranean-territorial-cohesion-through-setup-of-tourist-cultural-itinerary-umayyad</a></p>

დოკუმენტი მომზადდა  
ტურისტული მარშრუტების  
ინსტიტუტის მიერ  
სექტემბერი 2019